

ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ

1998 წლის 28 ოქტომბერი

წინამდებარე გადაწყვეტილება, სანამ 1998 წლის გადაწყვეტილებასა და მოხსენებებში საბოლოო სახეს მიიღებს, ექვემდებარება სარედაქციო გადასინჯვას. გამომცემელი Carl Heymanns Verlag KG (Luxemburger Straße 449, D-50939 Köln) უზრუნველყოფს აღნიშნული მოხსენებების ხელმისაწვდომობასა და კონკრეტული ქვეყნების აგენტებს შორის გაერცვლებას, როგორც ეს მითითებულია წიგნის უკანა ყდაზე.

აგენტების სია:

ბელგია: Etablissements Emile Bruylant
(rue de la Régence 67, B-1000 Bruxelles)

ლუქსემბურგი: Librairie Promoculture (14, rue Duchscher
(place de Paris), B.P. 1142, L-1011 Luxembourg-Gare)

ნიდერლანდები: B.V. Juridische Boekhandel & Antiquariaat A. Jongbloed & Zoon (Noordeinde
39, NL-2514 GC 's-Gravenhage)

მოკლე შინაარსი¹

პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება

ბულგარეთი – პოლიციის მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა და წინასწარი პატიმრობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე (დ) მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი).

I. 1992 წლის 19 სექტემბერს ბანკოტარეპული და შემდგომი მოვლენები

ა. პირველადი პრეტენზიები

1. სავარაუდოდ ამოუწურავი სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები

განმცხადებელს აღარ მოეთხოვება სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრა განცდილი ზიანისათვის, თუ მან სისხლის-სამართლებრივ სისტემასთან მიმართებაში ამოწურა მის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება და ვერ მიაღწია გამოძიების აღძვრას პოლიციის იმ ოფიცრების მიმართ, რომლებიც მას სავარაუდოდ არასათანადოდ მოექცნენ.

დასკვნა: პრეტენზია უარყოფილ იქნა (ერთხმად).

2. პროცესის სავარაუდოდ ბოროტად გამოყენება

არანაირი მტკიცებულება განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

1. წინამდებარე მოკლე შინაარსზე სასამართლო პასუხისმგებლობას არ კისრულობს

დასკვნა: პრეტენზია უარყოფილ იქნა (ერთხმად).

ბ. არსებითი განხილვა

1. კონვენციის მე-3 მუხლი

ა) პოლიციის მიერ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლებელია იმის დადგენა, პოლიციის მიერ იყო მიყენებული დაზიანებები თუ არა, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა.

დასკვნა: პოლიციის მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ბ) გამოძიების ადეკვატურობა

როდესაც პირს გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია, რომ მას, მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არასათანადოდ მოეპყრნენ, აღნიშნული დებულება, 1-ლი მუხლის შესაბამისად, მოითხოვს და მოიაზრებს ეფექტურ და ოფიციალურ გამოძიებას.

დასკვნა: ადგილი ჰქონდა დარღვევას, რადგანაც არ განხორციელებულა ეფექტური და ოფიციალური გამოძიება (ერთხმად).

2. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი სამოქალაქო ხასიათის სამართალწარმოება, რომლის აღძვრაც მას შეეძლო პოლიციის მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, შეჩერდებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის 182-ე (დ) მუხლის შესაბამისად – სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი პრეცედენტული სამართალი მიუთითებდა, რომ სამოქალაქო სასამართლოები არ იყვნენ შებოჭილნი საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიღებული იყო სისხლის სამართალწარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით.

დასკვნა: ადგილი არ ჰქონია დარღვევას (ერთხმად).

3. კონვენციის მე-13 მუხლი

როდესაც პირს გააჩნია დასაბუთებული საჩივარი, რომ მას არასათანადოდ მოეპყრნენ მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ეფექტური საშუალების ცნება, ჯეროვანი და ეფექტური გამოძიების გარდა, მე-3 მუხლის შესაბამისად, მოიაზრებს განმცხადებლის საგამოძიებო პროცედურასთან ეფექტურ ხელმისაწვდომობასა და შესაბამისად შესაფერისი კომპენსაციის გადახდას.

დასკვნა: ადგილი ჰქონდა დარღვევას (ერთხმად).

II. 1995 წლის ივლისს და შემდგომ ბანკოთარეზული მოვლენები

ა. პირველადი პრეტენზია

1. სავარაუდოდ ამოუწურავი სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები განმცხადებელმა, მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით წარადგინა რამდენიმე მოთხოვნა გამოძიების ორგანოებისა და შოუმენის რაიონული სასამართლოს წინაშე.

დასკვნა: პრეტენზია უარყოფილ იქნა (ერთხმად).

2. პროცესის ბოროტად გამოყენება

არანაირი მტკიცებულება არ არსებობს პროცესის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

დასკვნა: პრეტენზია უარყოფილ იქნა (ერთხმად).

ბ. არსებითი განხილვა

1. კონვენციის მე-3 მუხლი

სასამართლოს შეუძლია მე-3 მუხლთან მიმართებით განიხილოს საჩივარი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილია მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან შეფარდებით. სასამართლომ გარემოებების მთლიანობაში შეფასებისას დაკავების პირობების სირთულე ვერ დაადგინა, რათა მიეღწია მე-3 მუხლით დადგენილი ზღვრისათვის.

დასკვნა: ადგილი არ ჰქონია დარღვევას (რვა ხმა ერთის წინააღმდეგ).

2. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი

განმცხადებელი, დააპატიმრეს გონივრული ეჭვის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა დანაშაული – არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად განმცხადებელი უკანონოაა დაპატიმრებული.

დასკვნა: ადგილი არ ჰქონია დარღვევას (ერთხმად).

3. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი

ა) უფლება მოსამართლის ან „სხვა ოფიცრის წინაშე წარდგენაზე“.

გამომძიებელი, რომლის გადაწყვეტილებებიც შეიძლება გაუქმდეს პროკურორის მიერ, არ არის საკმარისად დამოუკიდებელი.

დასკვნა: ადგილი ჰქონდა დარღვევას (ერთხმად).

ბ) უფლება სასამართლო სამართალწარმოებაზე გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლება პროცესის დროს

განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, დაახლოებით, 2 წლის განმავლობაში. ეროვნულ ორგანოებს გააჩნდათ საფუძვლიანი შიში, რომ განმცხადებელს შეეძლო ჩაედინა ხელახალი დანაშაული. ერთი წლის განმავლობაში არანაირი სახის საგამომძიებო ქმედობა არ განხორციელებულა. ხელისუფლების ორგანოები არ მოქმედებდნენ ჯეროვანი გულისხმიერებით.

დასკვნა: ადგილი ჰქონდა დარღვევას (ერთხმად).

4. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

განმცხადებელს არ ჰქონდა საშუალება, რომ სასამართლოს მისი წინასწარი პატიმრობის მართლზომიერების საკითხი ერთზე მეტად განეხილა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა არ გამართულა.

დასკვნა: ადგილი ჰქონდა დარღვევას.

5. კონვენციის 25-ე მუხლის I-ლი პუნქტი

ორმა განმცხადებელმა, რომლებიც კომისიის წინაშე წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით დაიკითხნენ პოლიციის, ან საგამოძიებო ორგანოების მიერ, უარყოფად მოწმობული განაცხადი. ეს უკანასკნელი მოიცავდა სერიოზულ მტკიცებას იმავე ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით. დაკითხვის დროს, პირველი განმცხადებელი იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში გამოძიების ორგანოების კონტროლის ქვეშ. ყველა შემთხვევაში დაკითხვა წარმოადგენდა არასათანადო ზეწოლას.

დასკვნა: ადგილი ჰქონდა დარღვევას (ერთხმად).

III. კონვენციის 50-ე მუხლი

ა) არამატერიალური ზიანი: კონკრეტული თანხა მიეკუთვნა პირველ განმცხადებელს.

ბ) ხარჯები და გაღებული დანახარჯები: სრულად მიეკუთვნა.

დასკვნა: მოპასუხე სახელმწიფოს განმცხადებლისათვის კონკრეტული თანხების გადახდა დაეკისრა (ერთხმად).

სასამართლოს მიერ გამოყენებული პრეცედენტული სამართალი

18.1.1978, Ireland v. the United Kingdom; 4.12.1979, Schiesser v. Switzerland; 21.10.1986, Sanchez-Reisse v. Switzerland; 29.11.1988, Brogan and Others v. the United Kingdom; 25.10.1989, Bezicheri v. Italy; 23.10.1990, Huber v. Switzerland; 12.12.1991, Toth v. Austria; 12.5.1992, Megyeri v. Germany; 26.11.1992, Brincat v. Italy; 23.3.1995, Loizidou v. Turkey (პირველადი პრეტენზიები); 13.7.1995, Kampanis v. Greece; 27.9.1995, McCann and Others v. the United Kingdom; 4.12.1995, Ribitsch v. Austria; 16.9.1996, Akdivar and Others v. Turkey; 18.12.1996, Aksoy v. Turkey; 25.2.1997, Findlay v. the United Kingdom; 19.2.1998, Guerra and Others v. Italy; 19.2.1998, Kaya v. Turkey; 25.5.1998, Kurt v. Turkey; 9.6.1998, Tekin v. Turkey; 2.9.1998, Erkalov v. the Netherlands; 2.9.1998, Yaşa v. Turkey; 23.9.1998, A. v. the United Kingdom.

საქმეში ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ¹

1998 წლის 29 ივნისსა და 25 სექტემბერს განმარტოებით იმსჯელა და 1998 წლის 25 სექტემბერს მიღებული წინამდებარე განაჩენი გამოიტანა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის სათანადო დებულებების შესაბამისად, პალატის სახით შეკრებილმა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ა¹ შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი რ. ბერნჰარდტი, პრეზიდენტი,

ბ-ნი ლ-ე პეტტიტი,

ქ-ნი ე. პალმი,

ბ-ნი ა. ბაკა,

ბ-ნი გ. მიფსუდ ბონინი,

¹ სასამართლოს ა ტიპის რეგლამენტი გამოიყენება მე-9 ოქმის ძალაში შესვლამდე (1994 წლის 1 ოქტომბერი) სასამართლოში შეტანილ ყველა საქმესთან მიმართებით და ამის შემდგომ მხოლოდ იმ სასაქმეო ფაქტობრივ დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით, რომლებსაც არ ეკისრებოდათ გაღებულებები ხსენებული ოქმის თანახმად ა ტიპის რეგლამენტი ემოხვევა იმ რეგლამენტს, რომელიც ძალაში შევიდა 1983 წლის 1 იანვარს, ასევე შემდგომში მასში შესულ ცვლილებებს

ბ-ნი ჯ. მაკარსუკი,
ბ-ნი დ. გოტჩევი,
ბ-ნი პ. ვან დიკი,
ბ-ნი ვ. ტოუმანოვი,
რეგისტრატორი ბ-ნი პ. პეტსოლდი,
რეგისტრატორის მოადგილე პ. მაჰონი.

პროცედურა

1. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში კომისია) წინამდებარე საქმე 1997 წლის 22 სექტემბერს სასამართლოს გადასცა 3 თვის ვადაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 47-ე მუხლის შესაბამისად. იგი მომდინარეობს განაცხადიდან (№24760/94), რომელიც 1993 წლის 6 სექტემბერს, 25-ე მუხლის თანახმად, ბულგარეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ კომისიის წინაშე წარადგინა ბულგარეთის 3-მა მოქალაქემ ბ-ნმა ანტონ ასენოვმა, ქ-ნმა ფიდანკა ივანოვამ და ბ-ნმა სტეფან ივანოვმა. კომისიის მოთხოვნა მიუთითებდა 44-ე და 48-ე მუხლებსა და დეკლარაციაზე, რომლითაც ბულგარეთმა აღიარა სასამართლოს იურისდიქცია (მუხლი 46). მოთხოვნის ობიექტი იყო გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმეში არსებული ფაქტები სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3, მე-5, მე-6, მე-13, მე-14 და 25-ე მუხლებით აღებულ ვალდებულებათა დარღვევებს.
2. სასამართლოს რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის თანახმად, დასმულ შეკითხვათა საპასუხოდ განმცხადებლებმა გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ სამართალწარმოებაში და დაასახელეს ადვოკატი, რომელიც წარმოადგენდა მათ ინტერესებს (30-ე მუხლი).
3. პალატა მოიცავდა „*ex officio*“ წევრებს: ბ-ნ დ. გოტჩევს, ბულგარეთის მხრივ არჩეულ მოსამართლეს (კონვენციის 43-ე მუხლი) და ბ-ნ რ. ბერნჰარდტს, რომელსაც ეკავა სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა (21-ე მუხლის მე-4 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი). 1997 წლის 25 სექტემბერს სასამართლოს პრეზიდენტმა ბ-ნმა რ. რისდალმა რეგისტრატორის თანდასწრებით, კენჭისყრით, პალატის შვიდი სხვა მოსამართლის ვინაობა გამოავლინა, სახელდობრ: ბ-ნი ლ. პეტიტი, ქ-ნი ე. პალმი, ბ-ნი ა. ბ. ბაკა, ბ-ნი გ. მიფსუდ ბონიჩი, ბ-ნი ჯ. მაკარსუკი, ბ-ნი პ. ვან დიკი და ბ-ნი ვ. ტოუმანოვი (კონვენციის 43-ე მუხლის ბოლო ნაწილი და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი).
4. პალატის პრეზიდენტის რანგში (რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი) ბ-ნმა ბერნჰარდტმა, რეგისტრატორის საშუალებით ბულგარეთის სამთავრობო აგენტს (მთავრობა), განმცხადებლის ადვოკატსა და კომისიის დელეგატს სამართალწარმოების ორგანიზაციული მხარის შესახებ (რეგლამენტის 37-ე მუხლის 1 პუნქტი და 38-ე მუხლი) აცნობა. გაცემული ბრძანების შედეგად, რეგისტრატორმა 1998 წლის 9 მარტს განმცხადებელთა და მთავრობის მემორანდუმები მიიღო.
5. 1998 წლის 2 და 13 თებერვალს, შესაბამისად, ბ-ნმა ბერნჰარდტმა ნებართვა მისცა წერილობითი კომენტარების წარდგენაზე ბოშათა უფლებების ევროპულ ცენტრსა და „Amnesty International“-ს (რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ხსენებული კომენტარები რეგისტრატორმა 1998 წლის 29 და 30 აპრილს მიიღო.
6. პრეზიდენტის გადაწყვეტილების თანახმად, მოსმენა 1998 წლის 25 ივნისს საჯაროდ შედგა სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში. სასამართლომ მოსამზადებელი შეხვედრა წინასწარ გამართა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადნენ:

ა) მთავრობის სახელით:

ქ-ნი ვ. დეიდეივა, თანააგენტი,
იუსტიციის სამინისტრო,

აგენტი;

ბ) კომისიის სახელით:

ბ-ნი მ. ა. ნოვიცკი,

დელეგატი;

გ) განმცხადებელთა სახელით:

ქ-ნი ზ. კალაძეივა,

ადვოკატი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ნოვიცკის, ქ-ნი კალაძეივასა და ქ-ნი დიდეივას
მიმართვები.

შაქტები

I. საქმის ბარემოებები

7. განმცხადებლები არიან ბულგარეთის მოქალაქეები, ბოშური წარმოშობის ერთი
ოჯახის წევრები, რომლებიც ცხოვრობენ შოუმენში (ბულგარეთი). ბ-ნი ანტონ ასენოვი
დაიბადა 1978 წელს. მისი მშობლები კი ქ-ნი ფიდანკა ივანოვა და ბ-ნი სტეფან
ივანოვი დაიბადნენ 1956 და 1952 წლებში.

ა. 1992 წლის 19 სექტემბრის შემდგომ განვითარებული მოვლენები

1. დაკავება და დაპატიმრება

8. 1992 წლის 19 სექტემბერს ბ-ნი ასენოვი (14 წლის ასაკში) შოუმენში საბაზრო
მოედანზე ფულზე აზარტული თამაშის დროს დააკავა პოლიციელმა, რომელიც იმ
მომენტში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. მან ბ-ნი ასენოვი, გადაიყვანა
ახლოს მდებარე ავტობუსების სადგურზე და დაურეკა თავის შემცველს.

9. შემდგომში ბ-ნი ასენოვის მშობლებმა, რომლებიც მუშაობდნენ ავტობუსების სადგურზე,
თხოვნით მიმართეს პოლიციელს გაეთავისუფლებინა მათი შვილი. ბ-ნმა ივანოვმა
იმის წარმოსაჩენად, რომ იგი მას თვითონ დასჯიდა ნებისმიერი სახით, აიღო ფიცრის
ნაჭერი და თავის შვილს დაარტყა. ამ დროს სხვა ორი პოლიციელიც მოვიდა.
განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ მოსულმა ოფიცრებმა ბიჭს ხელკეტები ჩაართვეს.
შედეგად მშობლებსა და პოლიციელებს შორის კამათი წარმოიშვა. ამ დროს, როგორც
ირკვევა, ბ-ნი ასენოვი არ იყო აგრესიული და იგი ჭკვიანად იქცეოდა. მამა-შვილს
დაადეს ბორკილები, იძულებით ჩასვეს პოლიციის მანქანაში და წაიყვანეს პოლიციის
განყოფილებაში. ისინი პატიმრობაში, დაახლოებით, 2 საათის განმავლობაში
იმყოფებოდნენ, სანამ მათ ბრალდების წაყენების გარეშე გაათავისუფლებდნენ. ბ-ნი
ასენოვი ამტკიცებს, რომ პოლიციის განყოფილებაში პოლიციის ოფიცრები სათამაშო
პისტოლეტითა და ხელკეტებით სცემდნენ, ურტყამდნენ მუცელში.

2. სამედიცინო მტკიცებულება

10. 1992 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის შემდგომ, პირველივე სამუშაო
დღეს განმცხადებლებმა მოინახულეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტი. მათ აუხსნეს

ექსპერტს, რომ ბ-ნ ასენოვს 3-მა პოლიციელმა ხელკეტებითა და პისტოლეტის ტარით სცემა, ხოლო დედამისს ხელკეტით სცემეს. ექიმმა გასინჯა ორი განმცხადებელი და შეადგინა სამედიცინო ცნობა.

11. პირველ განმცხადებელთან დაკავშირებით სამედიცინო ცნობის თანახმად, ამ უკანასკნელს აღენიშნებოდა მკლავის შიდა მხარეს 5 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანის ზოლისებრი სისხლჩაქცევა, მკერდის მარჯვენა მხარეს 3 ზოლისებრი სისხლჩაქცევა, თითოეული მათგანი დაახლოებით 6 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანის, მარცხენა ბეჭზე ჩაღურჯება, დაახლოებით 4 სმ სიგრძის, თავის უკანა ნაწილზე 2 სმ დიამეტრის მჭონე სისხლჩაქცევა და 5 ნაკაწრი მკერდის მარცხენა მხარეს, თითოეული დაახლოებით 5 სმ სიგრძის. ქ-ნ ივანოვას, სამედიცინო ცნობის თანახმად, მარცხენა ბარძაყზე აღენიშნებოდა 5 სმ სიგრძის ჩაღურჯება. ექიმმა დაასკვნა, რომ დაზიანებები შესაძლოა მიყენებული ყოფილიყო იმ გზით, როგორც ამას აღწერდნენ განმცხადებლები.

3. შინაგან საქმეთა რაიონული დირექტორატის მიერ წარმართული გამოძიება

12. 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ-ნმა ივანოვამ საჩივარი შეიტანა შინაგან საქმეთა რაიონულ დირექტორატში „შსრდ“ (DDIA), რომელშიც ამტკიცებდა, რომ მისი შვილი სცემეს ავტობუსების სადგურსა და პოლიციის განყოფილებაში. მან პოლიციის შესაბამისი პასუხისმგებელი ოფიცრების წინააღმდეგ გამოძიების აღძვრა მოითხოვა (იხ. წინამდებარე განაჩენის 58-ე პუნქტი).

13. საჩივარი განიხილა პოლკოვნიკმა პ.-მ, „შსრდ“ შიდა შემადგენლობის ინსპექტორმა. 1992 წლის 15 ოქტომბერს პოლკოვნიკმა პ.-მ დაკითხა თითოეული განმცხადებელი და ზეპირად მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით შეადგინა წერილობითი ოქმები. ბ-ნი ასენოვი დაკითხა მასწავლებლის, ბ-ნი გ.-ს თანდასწრებით. ჩვენებებში განმცხადებლებმა ასახეს ის მოვლენები, რომლებიც მოცემულია წინამდებარე განაჩენის მე-8, მე-9 პუნქტებში.

14. 1992 წლის 21, 22 და 26 ოქტომბერს სამმა პოლიციელმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ავტობუსების სადგურზე და პოლიციელმა, რომელიც მორიგეობდა პოლიციის განყოფილებაში, პოლკოვნიკ პ.-ს ბრძანებით, წერილობითი ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს. განცხადებების თანახმად, სერჟანტი ბ., რომელიც არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და არ ეცვა ფორმა, მიდიოდა ავტობუსების ცენტრალური სადგურის მახლობლად. მან, როდესაც დაინახა აზარტული თამაშის მოთამაშე პირები, დააკავა ბ-ნი ასენოვი და წაიყვანა ავტობუსების სადგურზე, საიდანაც დაურეკა პოსტზე მეოფ პოლიციის ოფიცერს. ამის შემდგომ, ბ-ნი ივანოვი, როგორც ჩანს, უყვიროდა ბიჭს, რომელსაც ორჯერ თუ სამჯერ ზურგში ფიცრის ნაჭერი ჩაარტყა. ბ-ნი ივანოვი და მისი მეუღლე, რომელიც მალევე მოვიდა, პრეტენზიებს გამოთქვამდნენ მათი შვილის დაკავებასთან დაკავშირებით და ბიჭს მათკენ ექაჩებოდნენ. როდესაც სერჟანტები ს. და ვ. მივიდნენ, მამამ დაიყვირა, შეიგინა და დაემუქრა პოლიციის ოფიცრებს, რომლებმაც სთხოვეს გაჩუმება და თავისი ნებით პოლიციის დაწესებულებაში წაყოლა. ამ დროს შეიკრიბა დაახლოებით 15-20 ბოშა. შემთხვევას ასევე ესწრებოდა ავტობუსების სადგურზე მეოფი, დაახლოებით, 20-მდე მძღოლი. რადგანაც ბ-ნი ივანოვი აგრძელებდა მართლწესრიგის დამრღვევ ქმედობას, პოლიციის ოფიცრებმა იგი იძულებით დააშოშმინეს, დაადეს ხელბორკილები და შვილთან ერთად წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. განყოფილებაში პოლიციის ოფიცერმა ს.-მ ბ-ნი ასენოვისაგან 100 ლევის ჩამორთმევასთან დაკავშირებით შეადგინა ოქმი და ორივე განმცხადებელი გაათავისუფლა. ის ფაქტი, რომ ისინი პოლიციის განყოფილებაში სცემეს სიმართლეს არ შეეფერებოდა.

15. 1992 წლის 26 ოქტომბერს პოლკოვნიკმა პ.-მ ავტობუსების სადგურის სამარშრუტო მენეჯერისაგან წერილობითი განცხადება მიიღო. ქნის განცხადებით, პოლიციელმა, რომელმაც მიიყვანა ბიჭი, პოლიციაში მანქანისათვის დაერეკა სთხოვა. რაიმე სახის შეხლა-შემოხლის ფაქტი მას არ ახსოვდა.

16. აღნიშნულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, პოლკოვნიკმა პ.-მ 1992 წლის 6 ნოემბერს შეადგინა შიდა აქტი, რომელშიც მოკლედ ჩამოაყალიბა ფაქტები და დაასკვნა, რომ ბიჭი ნაცემი იყო მამამისის მიერ.

17. 1992 წლის 13 ნოემბერს „შსრდ“ (DDIA)-ს დირექტორმა განმცხადებლებს მისწერა წერილი, რომლის თანახმადაც პოლიციის ოფიცრების ქმედობას კანონიერად მიიჩნევდა და ხსენებული მიზეზის გამო იგი არ აღძრავდა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოებას.

4. რეგიონული სამხედრო პროკურატურის მიერ წარმართული გამოძიება

18. 1992 წლის 12 დეკემბერს ვარნას რეგიონულ სამხედრო პროკურატურაში „the RMPO“ განმცხადებლებმა წარადგინეს სავარაუდო დამნაშავეების წინააღმდეგ სისხლის-სამართლებრივი გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებული მოთხოვნა.

19. 1992 წლის 30 დეკემბერს „the RMPO“-მ უბრძანა შოუმენის სამხედროს საგამომძიებო ნაწილის გამომძიებელ გ.-ს ჩაეტარებინა მოკვლევა.

20. 1993 წლის 8 თებერვალს გამომძიებელმა გ.-მ მისწერა შოუმენის პოლიციის უფროსს მოეპოვებინა მტკიცებულებები განმცხადებლებისა და პოლიციის ოფიცრებისაგან და ეცნობებინა მისთვის. 1993 წლის 15 თებერვალს „შსრდ“-მ გამომძიებელს მიაწოდა შეგროვილი მასალები, რადგანაც ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ჩატარებული იყო მოკვლევა.

21. დავის საგანს წარმოადგენს, დაკითხა თუ არა გამომძიებელმა პირადად განმცხადებლები. მთავრობა ამტკიცებს, რომ გამომძიებელმა განმცხადებლები დაკითხა, მაგრამ არ არსებობს ამის დამადასტურებელი რაიმე ჩანაწერი, ან ოქმი.

22. 1993 წლის 20 მარტს გამომძიებელმა გ.-მ შეადგინა ერთფურცლიანი შიდა აქტი, რომელშიც ასახავდა ფაქტებს და იძლეოდა რჩევას იმასთან დაკავშირებით, რომ სავარაუდო დარღვევათა უსაფუძვლობისა და წარმოდგენილ მტკიცებულებათა ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ არ უნდა ყოფილიყო აღძრული სისხლის სამართალწარმოება.

23. 1993 წლის 24 მარტს, „RMPO“-მ გამომძიებლის რჩევის საფუძველზე, გადაწყვიტა არ აღედგინა სისხლის სამართალწარმოება. გადაწყვეტილება, *inter alia*, აცხადებდა, რომ ბ-ნი ივანოვი სცემდა თავის შვილს, უყვიროდა, ურტყამდა, ასევე იგი არ ემორჩილებოდა პოლიციის ბრძანებებს, რამაც გამოიწვია განმცხადებელთა დაკავება (იხ. წინამდებარე განახლების 55-ე პუნქტი). ამასთანავე, მოწმეებისაგან მოპოვებული მტკიცებულებები პოლიციის მიერ ბიჭის წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის გამოყენების ფაქტს არ ადასტურებენ.

5. გასაჩივრება სამხედრო გენერალურ პროკურატურაში

24. 1993 წლის 15 აპრილს განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს სამხედრო გენერალურ პროკურატურას (GMPO). მათი განცხადებით, გამოძიების არაღძვრის გადაწყვეტილებიდან

ნათლად ჩანდა, რომ მოწმეთა სახით დაიკითხნენ მხოლოდ პოლიციის ეჭვმიტანილი ოფიცრები. განმცხადებელთა თანახმად, მხედველობაში არ იქნა მიღებული სამედიცინო ცნობები და სიმართლეს არ შეესაბამებოდა ის ფაქტი, თითქოს ბ-ნი ასენოვი და მამამისი არ დაემორჩილნენ პოლიციელთა ბრძანებას.

25. საჩივარი წარდგენილ იქნა „RMPO“-ს მეშვეობით, რომელმაც იგი 1993 წლის 30 აპრილს გადააგზავნა „GMPO“-ში და თან დაურთო წერილი, რომლითაც იძლეოდა რჩევას საჩივრის უარყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნული წერილის ასლი გაეგზავნათ ასევე განმცხადებლებს.

26. 1993 წლის 21 მაისს, როგორც ჩანს, საქმის გაცნობის შემდგომ, „GMPO“-მ უარი განაცხადა პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების აღძვრაზე იმავე საფუძველით, რა საფუძველითაც ქვედა ინსტანციის პროკურატურამ. აღნიშნული გადაწყვეტილება, *inter alia*, აცხადებდა, რომ სამედიცინო ცნობა თან ერთვოდა საქმეს საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ახალგაზრდა ბიჭის სხეულზე აღინიშნებოდა სისხლჩაქცევები, რაც მიანიშნებდა სხეულის ზედაპირის დაზიანებაზე და შეესაბამებოდა გრძელი, მყარი საგნით მიყენებულ დაზიანებებს. რეგიონული პროკურორის მოადგილემ სამართლიანად მიიჩნია პოლიციის ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში ახალგაზრდა ბიჭის სხეულზე მიყენებული შესაძლო დაზიანებები. გამოყენებული ფიზიკური ძალა და დამხმარე საშუალებები შესაბამისობაში იყო ეროვნული პოლიციის შესახებ 24(1) მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებთან (იხ. წინამდებარე განაჩენის 56-ე პუნქტი).

6. რეგიონული სამხედრო პროკურატურის მიერ განხორციელებული შემდგომი გამოძიება

27. როგორც ჩანს, განმცხადებელთა მხრიდან განგრძობადი და მრავალჯერადი საჩივრებისა და საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროდან მომდინარე ზეწოლის შედეგად, 1993 წლის 13 ივლისს „GMPO“-მ მისწერა წერილი „RMPO“-ს, რომლის თანახმად, წინასწარ მოკვლევას, პოლიციელთა მიერ არაკანონიერი ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით, უნდა მოეცვა დამოუკიდებელი მოწმეების დაკითხვა და ჩატარებულიყო დამატებითი გამოძიება.

28. „RMPO“-მ 1993 წლის 29 და 30 ივლისს შესაბამისად დაკითხა ავტობუსის მძღოლი და ავტობუსების სადგურის თანამშრომლები. ავტობუსის მძღოლის განცხადებით, მან დაინახა თუ როგორ ჩაარტყა ბოშა კაცმა შვილს თხელი ფიცრის ნაჭერი; როდესაც მოვიდა პოლიციის მანქანა, მამა მიეჭრა პოლიციელებს და დაუწყო ჩხუბი; მძღოლმა ბ-ნი ივანოვს ხელი დაუჭირა, რათა ამ უკანასკნელს არ ჩაერტყა ოფიცრისათვის; მას არ დაუნახავს, რომ რომელიმე ოფიცერს ჩაერტყა ბიჭისათვის. მეორე მოწმეს მოვლენები ძალიან ბუნდოვნად ახსოვდა და არ შეეძლო იმის თქმა, მამამ ჩაარტყა თავის შვილს თუ მამა-შვილი პოლიციელებმა სცემეს.

29. ხსენებული დამატებითი გამოძიება რაიმე ფორმალური გადაწყვეტილების გამოტანით არ დამთავრებულა. მათი შედეგები განმცხადებლებისათვის არ შეუტყობინებიათ.

7. გასაჩივრება გენერალური პროკურორის წინაშე

30. 1994 წლის 20 ივნისს განმცხადებლებმა ბულგარეთის გენერალურ პროკურორს საჩივრით მიმართეს. მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს მომხდარი მოვლენები და დაუმატეს, რომ ბ-ნი ასენოვის ცემას თან ახლდა შეურაცხყოფები მის ბოშურ წარმოშობასთან დაკავშირებით, რისი მომსწრეც რამდენიმე მოწმე იყო, თუმცა არანაირი მცდელობა არ განხორციელებულა რომელიმე მათგანისაგან მტკიცებულებების მოპოვებასთან

დაკავშირებით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა წინააღმდეგობა „RMPO“-ს დასკვნას, რომლის თანახმადაც არანაირი ფიზიკური ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, და „GMPO“-ს დასკვნას შორის, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ ფიზიკური ძალის გამოყენებას ადგილი ჰქონდა, რომელიც განხორციელდა მართლზომიერების ფარგლებში. აქედან გამომდინარე განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-3, მე-6 და მე-14 მუხლები.

31. აღნიშნული საჩივარი, როგორც ჩანს, გადაეცა „GMPO“-ს, რომელმაც ის 1994 წლის 28 ივნისს განმცხადებლის ადვოკატს გაუგზავნა. წერილში აღნიშნული იყო, რომ აღრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

ბ. ბ-ნი ასენოვის დაკავება 1995 წლის 27 ივლისს და შემდგომი პატიმრობა

1. დაკავება, პატიმრობა და გამოძიება

32. 1995 წლის იანვარში შოუმენის საგამოძიებო ორგანოებმა ბ-ნი ასენოვი დაკითხეს ქურდობისა და ძარცვის სერიების გამოძიებასთან დაკავშირებით.

33. ბ-ნი ასენოვი დააკავეს 1995 წლის 27 ივლისს. დაკავებიდან მეორე დღეს კი, ადვოკატისა და პროკურორის კ.-ს თანდასწრებით, იგი დაკითხა გამოძიებელმა. მას ფორმალურად წაეყენა ბრალი 1995 წლის 9 იანვრისა და 2 მაისის შუალედში ჩადენილ 10-ზე მეტ ქურდობასა და 1994 წლის 10 სექტემბრისა და 1995 წლის 24 ივლისის შუალედში ქუჩაში მოსიარულეთა მიმართ ჩადენილ 6 ძარცვაში. ბ-ნმა ასენოვმა ქურდობათა უმეტესობა აღიარა, მაგრამ ძარცვის ფაქტები უარყო. მის წინასწარ პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილება იმავე დღეს დაადასტურა სხვა პროკურორმა, ა.-მ (იხ. წინამდებარე განაჩენის 69-ე პუნქტი).

34. 1995 წლის 27 ივლისს, 2 აგვისტოს, 7 აგვისტოსა და 15 აგვისტოს განმცხადებელმა მონაწილეობა მიიღო ამოცნობაში, რომლის დროსაც იგი ამოიცნო 4-მა გაძარცვულმა პირმა. ადვოკატი ყველა საგამოძიებო ქმედობაში იღებდა მონაწილეობას. 1995 წლის 28 აგვისტოს გამოძიებლის მიერ დანიშნულმა ექსპერტმა წარმოადგინა მოხსენება პირველი განმცხადებლისა და მისი თანამზრახველების მიერ მოპარული ნივთების შეფასების თაობაზე. დაუდგენელ დღეს დამატებითი, ასევე სხვა ქურდობებთან დაკავშირებული ბრალდებები, რომელთა ჩადენაშიც ბ-ნი ასენოვი ეჭვმიტანილი იყო, როგორც თანამონაწილე, გაერთიანდა წინა ბრალდებებთან. გამოძიების პროცესიდან ჩანს, რომ დაკითხნენ დაახლოებით 60 მოწმე და სავარაუდო მსხვერპლი, მაგრამ 1995 წლის სექტემბრის შემდეგ არანაირი მტკიცებულება არ შეგროვებულა.

2. წინასწარი პატიმრობა 1995 წლის ივლისიდან 1997 წლის ივლისამდე

35. 1995 წლის 27 ივლისიდან 1996 წლის 25 მარტამდე ბ-ნი ასენოვი პატიმრობაში იმყოფებოდა შოუმენის პოლიციის განყოფილებაში. მხარეებს შორის სადავოა პირობები, რომელშიც ბ-ნი ასენოვი იმყოფებოდა პატიმრობის დროს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იგი მოათავსეს 3×1.80 მეტრის საკანში 2-4 სხვა პატიმართან ერთად. საკანი მთლიანად მიწის ქვეშ იყო განთავსებული, სადაც დღის სინათლე და სუფთა ჰაერი ძალიან იყო შეზღუდული. მას თავის საკანში რაიმე სახის ქმედების განხორციელება არ შეეძლო. დღის განმავლობაში საკნიდან მას უშვებდნენ მხოლოდ ორჯერ საპირფარეშოში. მთავრობის განცხადებით, საკნის ფართობი შეადგენდა 4.60×3.50 მეტრს და მასთან იმყოფებოდა მხოლოდ ერთი სხვა პატიმარი.

36. განმცხადებელმა საგამომიებო ორგანოებს წარუდგინა მრავალი მოთხოვნა გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მიუთითებდა რა, *inter alia*, იმ ფაქტებზე, რომ არავითარი დამატებითი მტკიცებულება აღარ უნდა შეგროვებულიყო; იგი იტანჯებოდა პატიმრობის პირობების შედეგად ჯანმრთელობის გაუარესების გამო. განმცხადებელი ასევე ითხოვდა გათავისუფლების წინასწარ იმ ფაქტი, რომ მას ჰყავდა 2 პატარა ბავშვი. როგორც ირკვევა, ხსენებული მიმართებებიდან ზოგიერთი ინდივიდუალურად იხილებოდა, სხვები კი შეგროვილ და განხილულ იქნა მათი წარდგენიდან რამდენიმე თვის შემდეგ.

37. 1995 წლის 21 აგვისტოს ბ-ნი ასენოვი გასინჯა ექიმმა და დაადგინა, რომ იგი ჯანმრთელი იყო. 1995 წლის 20 სექტემბერს ის კვლავ გასინჯა შოუმენის რაიონული საავადმყოფოს კარდიოლოგმა, რომლის დასკვნითაც, განმცხადებელს არ აღმოაჩნდა როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი კარდიოლოგიური დაავადება და ბ-ნი ასენოვის კარდიო-არტერიული მდგომარეობა მის პატიმრობაში დარჩენას არ ეწინააღმდეგებოდა.

38. 1995 წლის 11 სექტემბერს ბ-ნმა ასენოვმა გათავისუფლებასთან დაკავშირებით შოუმენის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობა წარუდგინა. 1995 წლის 19 სექტემბერს მოსამართლემ დახურულ სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, *inter alia*, რომ ბ-ნი ასენოვის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ეხებოდა სერიოზულ დანაშაულებს, რომლებიც მუდმივ და განგრძობად ხასიათს ატარებდა. მისი თქმით, გათავისუფლების შემთხვევაში, არსებობდა მის მიერ შემდგომი დანაშაულების ჩადენის საშიშროება.

39. 1995 წლის 13 ოქტომბერს რაიონულმა პროკურორმა 2 მოთხოვნა ბ-ნი ასენოვის გათავისუფლების თაობაზე გააუქმა. 1995 წლის 19 ოქტომბერს უარი დაადასტურა ოლქის პროკურორმა.

40. განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს გენერალურ პროკურატურას, აცხადებდნენ რა, *inter alia*, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისათვის საჩივრით მიმართვის გამო მათ წინააღმდეგ ხორციელდებოდა კამპანია. 1995 წლის 8 დეკემბრით დათარიღებულ გადაწყვეტილებაში გენერალურმა პროკურატურამ უარყო განმცხადებლების არგუმენტები. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დასრულდა 1995 წლის სექტემბრისათვის, კვლავ აუცილებელი იყო ბ-ნი ასენოვის პატიმრობა, რადგანაც არსებობდა აშკარა საფრთხე, რომ იგი კვლავ განაახლებდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას. თუმცა, გამოითქვა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ შოუმენის პოლიციაში განგრძობადი პატიმრობა ზიანს მიაყენებდა განმცხადებლის „ფიზიკური და სულიერი განვითარების პროცესს“ და ამიტომაც იგი უნდა გადაყვანილიყო ბოიჩინოვზის არასრულწლოვანთა გამასწორებელ დაწესებულებაში. გადაყვანა განხორციელდა სამნახევარი თვის შემდგომ, 1996 წლის 25 მარტს.

41. 1996 წლის დაუდგენელ დღეს, ბ-ნმა ასენოვმა კვლავ გაასაჩივრა მისი წინასწარი პატიმრობა შოუმენის რაიონული სასამართლოს წინაშე. 1996 წლის 28 მარტს სასამართლომ გამოითხოვა საქმის მასალები რაიონული პროკურატურიდან და აღნიშნა, რომ განაცხადი უკვე განიხილეს 1995 წლის 19 სექტემბერს. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად მიიჩნია და უარყო იგი (იხ. წინამდებარე განახლების 75-ე პუნქტი).

42. 1996 წლის 21 მარტს გამომძიებელმა ძარცვებთან დაკავშირებულ ბრალდებებთან მიმართებით სხვა საქმე აღძრა და დაკითხა ბ-ნი ასენოვი. მან გასცა ბრძანება მისი წინასწარი პატიმრობის გაგრძელებაზე. მომდევნო დღეს, გამომძიებელმა შეადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოაყალიბა ძარცვასთან დაკავშირებული ფაქტები და გაუგზავნა პროკურორს. იგი ასევე იძლეოდა წინადადებას საბრალდებო დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით.

43. 1996 წლის 3 ივლისს რაიონულმა პროკურორმა გამოძიებელს უკან დაუბრუნა ძარცვასთან დაკავშირებული საქმე და მისცა მითითება, მოენახულებინა კიდევ 1 დამატებითი მოწმე. 1996 წლის 23 აგვისტოს გამოძიებელმა უკან დააბრუნა საქმე, რადგანაც სავარაუდო მოწმე უკვე გარდაცვლილი იყო. 1996 წლის 26 სექტემბერს რაიონულმა პროკურორმა საქმეზე შეადგინა საბრალდებო დასკვნა და 4 დღის შემდეგ, წარადგინა შოუმენის რაიონულ სასამართლოში. სასამართლომ მოსმენა გამართა 1997 წლის 6 თებერვალს, რომლის დროსაც მოუსმინა 4 მოწმეს და 2 მოწმის დაუსწრებლობის მოტივით, მოსმენა გადადო 1997 წლის 29 მაისისათვის.

44. ამავე დროს, 1996 წლის 20 სექტემბერს გამოძიებელმა ძარცვის საქმესთან დაკავშირებით დაასრულა წინასწარი მოკვლევა. 1996 წლის 25 ოქტომბერს, ბ-ნი ასენოვის წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნის შედგენის წინადადებით, ხსენებული საქმე წარიგზავნა რეგიონულ პროკურატურაში. როგორც ირკვევა, ეს საქმე, დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, უკან დაბრუნდა.

45. 1996 წლის 5 ივლისიდან 24 სექტემბრამდე, ბ-ნი ასენოვი კვლავ მოათავსეს პოლიციის განყოფილებაში, სანამ მას გადაიყვანდნენ ბელენეს ციხეში.

46. 1996 წლის განმავლობაში განმცხადებლებმა რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით საგამოძიებო ორგანოებს ბ-ნი ასენოვის გათავისუფლების შესახებ. 1996 წლის 21 თებერვლითა და 17 ივნისით დათარიღებული გადაწყვეტილებებით თხოვნები უარყო რაიონულმა პროკურორმა, რადგანაც განაცხადებში არ იყო წარმოდგენილი არანაირი სახის ახალი არგუმენტაცია. ასევე, არსებობდა იმის საფრთხე, რომ განმცხადებელი გათავისუფლების შემთხვევაში კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს და რომ საქმეს სულ მალე განიხილავდა სასამართლო. 1996 წლის 8 ოქტომბერს რეგიონულმა პროკურატურამ კვლავ უარყო განმცხადებლის კიდევ ერთი თხოვნა.

47. 1996 წლის 4 ნოემბერს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ძარცვის საქმესთან დაკავშირებით დახურულ სხდომაზე განიხილა ბ-ნი ასენოვის შუამდგომლობა გათავისუფლების შესახებ. მოსამართლემ უარი განაცხადა მის გათავისუფლებაზე, მხედველობაში მიიღო რა დანაშაულის სერიოზული ხასიათი და რაოდენობა, რომელთა ჩადენაც განმცხადებელს ედებოდა ბრალად. ასევე გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ სულ მალე გაიმართებოდა სასამართლო.

48. 1997 წლის ივლისში ბ-ნი ასენოვი მსჯავრდებულ იქნა ქუჩაში ჩადენილ 4 ძარცვაში და მიესაჯა 30 თვით პატიმრობა. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ძარცვასთან დაკავშირებულ ბრალდებებთან შეფარდებით, მის მიმართ არ შედგენილა საბრალდებო დასკვნა.

გ. მოვლენები, რომლებიც განვითარდა კომისიის წინაშე განაცხადის წარდგენის შემდგომ

49. განმცხადებლებმა 1993 წლის 6 სექტემბერს კომისიას განაცხადით მიმართეს. 1995 წლის მარტში, ნოტარიუსის თანდასწრებით, მათ ხელი მოაწერეს განცხადებას, რომელიც მომზადებული იყო ბუღგარულ ენაზე. იგი ნათლად მიაჩნებდა კომისიის წინაშე წარდგენილ განაცხადზე და აღნიშნავდა, რომ ხსენებული ხორციელდებოდა კომისიისაგან სამართლებრივი დახმარების მიღების მოთხოვნის მოტივით.

50. 1995 წლის 15 მაისს, 23 მაისს და 8 სექტემბერს ორმა ყოველდღიურმა გაზეთმა საქმესთან დაკავშირებით სტატიები გამოაქვეყნა. ორივე სტატია, სათაურებით, აზარტული

თამაშების მოთამაშე ბოშამ „ბულგარეთის უნიველ სტრასბურგში“, განმარტავდა, *inter alia*, რომ ჟურნალისტებისაგან დასმულ კითხვებზე პასუხად განმცხადებლებმა თითქოსდა უარყვეს განაცხადის შეტანა კომისიაში. სტატიებში მოცემული დასკვნის თანახმად, კომისიის წინაშე განაცხადი წარადგინეს, სავარაუდოდ, ბოშა აქტივისტებმა და ამით შეცდომაში შეიყვანეს ორგანიზაცია „Amnesty International“-ი.

51. დაუდგენელ დღეს, საგამოძიებო ორგანოებმა, ან პოლიციელებმა განმცხადებლებს კომისიის წინაშე წარმოდგენილი განცხადება მოსთხოვეს. 1995 წლის 8 სექტემბერს მე-2 და მე-3 განმცხადებლებმა მიმართეს ნოტარიუსს და ხელი მოაწერეს განაცხადს, რომელშიც ისინი უარყოფდნენ კომისიის წინაშე განაცხადის წარდგენას. მათ შემდგომ აღნიშნეს, რომ ახსოვდათ თუ როგორ მოაწერეს ხელი 1992 და 1993 წლებში ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციების მიერ მომზადებულ დოკუმენტებს. თუმცა, მათთვის არ გადაუციათ აღნიშნული დოკუმენტების ასლები და არ იცოდნენ მათი შინაარსი. ერთ-ერთი დოკუმენტი უცხო ენაზე იყო წარმოებული.

52. როგორც ჩანს, ეს განცხადება ამის შემდეგ წარედგინათ საგამოძიებო ორგანოებს. 1995 წლის 19 სექტემბერს „GMPO“-მ აცნობა ხსენებულის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს.

53. 1995 წლის 28 ივლისს განხორციელებული დაკავების შემდგომ, ბ-ნი ასენოვის დაკითხვის ოქმის თანახმად, 1992 წლის 19 სექტემბრის მოვლენების შესახებ იგი ესაუბრა გამომძიებელს, რა დროსაც განაცხადა:

„1992 წელს მცემეს პოლიციელებმა (ავტობუსების გაჩერებაზე). ამის შემდეგ მოვიპოვე სამედიცინო ცნობა და მამაჩემმა საჩივარი წარადგინა პოლიციაში. პოლიციელებმა საჩივარი სერიოზულად არ მიიჩნიეს და მამამაც იგი სამხედრო პროკურატურაში წარადგინა. საჩივარს არც მათ შეხედეს სერიოზულად. ამის შემდეგ მამაჩემმა გაიგო, რომ ქალაქში იმყოფებოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელთაც წარუდგინა ჩემი თავი და აჩვენა, თუ რაოდენ ნაცემი ვიყავი. ფაქტიურად, პოლიციიდან ჩემი გათავისუფლების შემდგომ, მამაჩემმა პირველად მიმიყვანა ამ ხალხთან და მას მერე მისწერა პოლიციასა და სამხედრო პროკურატურას“.

ოქმში აღნიშნული ბ-ნი ასენოვის განცხადება არ შეესაბამება მის დაკითხვას.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

ა. აზარტული თამაში

54. ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, აზარტული თამაში წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რისთვისაც პირები 16 წელს ქვევით არ ისჯებიან (სპეკულაციის საწინააღმდეგო კანონის მე-2(2) ნაწილი).

ბ. პოლიციის უფლებამოსილებები 1992 წელს განხორციელებულ დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებით

55. ეროვნული პოლიციის შესახებ კანონის (1976) მე-20(1) ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა იმ დროს, განსაზღვრავდა, რომ პოლიციის ოფიცერს შეეძლო პოლიციის განყოფილებაში, ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოში მიეყვანა მხოლოდ ის პირები:

1. რომელთა ვინაობის დადგენაც შეუძლებელი იყო;
2. რომლებიც არღვევენ წესრიგს და არ ემორჩილებიან გაფრთხილებას;

3. რომლებიც სერიოზული მიზეზების გარეშე უარს აცხადებენ ნებაყოფლობით წავიდნენ პოლიციის განყოფილებაში, მას შემდგომ, რაც ამის შესახებ ეცნობებათ ამავე კანონის მე-16 ნაწილის თანახმად;
4. რომლებიც განზრახ უქმნიან ბარიერებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, მათი ფუნქციების განხორციელებაში;
5. რომლებიც უნებართვოდ ატარებენ, ან იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს, სხვა იარაღს, ან საშიშ საგნებს;
6. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში“.

ამავე კანონის მე-20(2) ნაწილის თანახმად, ზემოხსენებულ თითოეულ შემთხვევაში პოლიციელს მოეთხოვებოდა ეწარმოებინა დაუყოვნებლივი გამოძიება და პირი გაეთავისუფლებინა 3 საათის განმავლობაში თუ აუცილებელი აღარ იქნებოდა შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება დაკავებული პირის მიმართ.

56. 24(1) ნაწილი მოიცავდა დებულებას პოლიციის ოფიცრების მიერ ძალის გამოყენების თაობაზე. ძალის გამოყენება, „რომელიც ადეკვატური იქნებოდა სამართალდარღვევის სერიოზულობასა და წინააღმდეგობის გაწევასთან“, (24(2) ნაწილი) ნებადართული იყო:

„1. რათა ბოლო მოღებოდა სამართალდამრღვევ კმედობას, ან საზოგადოებრივი მართლწესრიგის დამრღვევ სხვა კმედობას;

2. პოლიციის ბრძანებისადმი, ან აკრძალვისადმი აშკარა დაუმორჩილებლობის შემთხვევებში;

3. დაკავების, ან ესკორტირების დროს წარმოშობილი გაქცევის, დაკავებულის, გადასაყვანის, ან სხვა პირის სიცოცხლესთან დაკავშირებული საშიშროების შემთხვევაში“.

გ. პოლიციის მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის საწინააღმდეგო სამართლებრივი საშუალებები

1. სისხლის-სამართლებრივი საშუალებები

57. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1974) 190-ე მუხლის თანახმად:

„სახეზე უნდა იყოს საკმარისი მტკიცებულებები სისხლის სამართალწარმოების აღძვრისათვის, რა დროსაც შესაძლებელია გონივრული დასკვნის გაკეთება, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენას“.

58. სერიოზულ დანაშაულებებთან და ყველა იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია საჯარო მოხელეების მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში, სისხლის სამართალწარმოება არ შეიძლება აღძრას კერძო პირმა. სისხლის სამართალწარმოების აღძვრა შეუძლია მხოლოდ პროკურორს (სსკ, 192-ე და 282-85-ე მუხლები). სსკ-ის 192-ე მუხლისა და 194-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, როდესაც პროკურორი უარს აცხადებს სისხლის სამართალწარმოების აღძვრაზე, ასეთი სამართალწარმოება შესაძლებელია აღიძრას ზემდგომი პროკურორის მიერ დაინტერესებული, ან „*ex officio*“ პირის შუამდგომლობის საფუძველზე.

59. სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა გახდეს სისხლის სამართალწარმოების მხარე, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე და მოითხოვოს კომპენსაცია (სსკ, მე-2 თავი, 60-64-ე მუხლები).

2. სამართლებრივი დაცვის სამოქალაქო საშუალებები

60. ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ კანონის 45-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელმაც განიცადა ზიანი, შეუძლია აღძრას სამართალწარმოება იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ქმედობით ზიანი მიაყენა. სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ კანონის თანახმად, პირს, რომელმაც განიცადა ზიანი საჯარო მოხელის მიერ განხორციელებული არაკანონიერი ქმედების შედეგად, შეუძლია აღძრას სამართალწარმოება შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ.

61. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182(დ) და 183-ე მუხლების თანახმად, სასამართლო, რომელიც იხილავს სამოქალაქო სარჩელს
„...ანერებს სამართალწარმოებას:

(დ) სანამ სისხლის-სამართლებრივი ნიშნები, რომელთა განსაზღვრასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო დავის შედეგისათვის, არ იქნება დადგენილი სამოქალაქო სამართალწარმოებისას.

183. შეჩერებული სამართალწარმოება „*ex officio*“ უნდა განახლდეს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მას შემდგომ, რაც შესაბამისი ბარიერები აღარ იარსებებენ...”

სისხლის სამართლის საპროცესო 222-ე მუხლი

„სისხლის სამართლის სასამართლოს საბოლოო განაჩენით გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება, ჩადენილ იქნა თუ არა შესაბამისი ქმედობა, ამ ქმედების არაკანონიერებასა და დამნაშავეს ბრალეულობას, სავალდებულოა სამოქალაქო სასამართლოებისათვის, როდესაც ეს უკანასკნელი განიხილავს სისხლის-სამართლებრივი ქმედების სამოქალაქო შედეგებს“.

62. მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს ბუღგარეთის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი რამდენიმე გადაწყვეტილება ზემოხსენებული დებულებების გამოყენებასა და მოქმედობასთან დაკავშირებით.

1980 წლის 18 იანვრის №3421 გადაწყვეტილებაში №1366/79 საქმეზე, უზენაესი სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დაადგინა:

„პრინციპში დანაშაულის ფაქტის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. სწორედ ამიტომ, როდესაც სადავო სამოქალაქო უფლება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომელიც წარმოადგენს დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სამოქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კანონის 182-ე (დ) მუხლის საფუძველზე, ვალდებულია შეაჩეროს სამოქალაქო სამართალწარმოება.

აღნიშნულის განხორციელება აუცილებელია სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების პატივისცემის მიზნით. გადაწყვეტილება სავალდებულოა სამოქალაქო სასამართლოებისათვის, მიუხედავად იმისა თუ რა სახის დანაშაულთანაა იგი დაკავშირებული. სისხლის სამართლის სასამართლოების გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალა ასახულია სამოქალაქო საპროცესო კანონის 222-ე მუხლში“.

№12/1996 გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლოს პლენარულმა კოლეგიამ დაადგინა შემდეგი:

„გამოძიების გადაწყვეტილება სისხლის-სამართლებრივი გამოძიების შეჩერებასთან დაკავშირებით, რომელიც დაფუძნებულია იმ გადაწყვეტილებაზე, რომ ბრალდებული არ არის დამნაშავე სისხლის-სამართლებრივი ქმედების ჩადენაში, არ ავალდებულებს სამოქალაქო სასამართლოს, რომელიც განიხილავს მხოლოდ ასეთი ქმედების შედეგს... სამოქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო სამართალწარმოებისას მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ფაქტებთან დაკავშირებით შეუძლია გამოიტანოს სხვადასხვა გადაწყვეტილება. მაგალითად, ის, რომ ზიანის მიყენება ფაქტიურად გამოწვეული იყო იმავე პირისაგან, რომლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოებაც შეწყდა. იმ შემთხვევაში თუ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებათა შეგროვების შემდგომ, ახლად იქნება აღმოჩენილი სისხლის-სამართლებრივი მტკიცებულებები, რომელთა განსჯასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო დავის შედეგისათვის, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს სამართალწარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე (დ) მუხლის თანახმად. 1967 წლის 3 იანვრის №11 განმარტებით გადაწყვეტილებაში (წელიწოდებული 1967) ბულგარეთის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო ასამბლეამ დაადგინა:“

„...პრინციპში, სამოქალაქო სასამართლოს არ შეუძლია დაადგინოს წარმოადგენს თუ არა რაიმე კონკრეტული ფაქტი დანაშაულს. მაგრამ, როდესაც სისხლის სამართალწარმოება დახურულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მე-6 მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად (სისხლის სამართალწარმოება იხურება სავარაუდო დამნაშავეს გარდაცვალების, საგამოძიებო ხანდაზმულობის ვადის გასვლის, ან ამინისტიის გამო), სისხლის სამართლის სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებას, იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა ქმედობა დანაშაულს. ასეთ შემთხვევებში, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის 97-ე მუხლის მე-4 პუნქტი იძლევა შესაძლებლობას – სამოქალაქო სასამართლომ დაადგინოს ცალკე პროცედურის საშუალებით წარმოადგენს თუ არა ქმედობა დანაშაულს და ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული“.

1988 წლის 13 დეკემბრის №817 გადაწყვეტილებაში №725 საქმეზე, ზიანთან დაკავშირებულ საჩივარზე, რომელიც წარმოიშვა საავტომობილო შემთხვევის შედეგად, უზენაესი სასამართლოს მე-4 სამოქალაქო კოლეგიამ დაადგინა:

„საჩივრის უარყოფისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ, საავტომობილო შემთხვევასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი პირი იყო პასუხისმგებელი, რომელიც 10 მეტრის მანძილიდან, უეცრად, გადმოხტა მანქანის წინ, რათა გადაეკვეთა გზა და მძღოლის მცდელობის მიუხედავად, შეტაკების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

ხსენებული დასკვნა ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ სისხლის-სამართლებრივი გამოძიება მძღოლის მიმართ დაიხურა არასაკმარისი მტკიცებულებების, საჩივრის დაუსაბუთებლობისა და იმ დანაშაულის შემადგენელი ელემენტების უქონლობის გამო, რომლის ჩადენაშიც პირს უნდა წაყენებოდა ბრალი.

სასამართლოს არ მოეთხოვებოდა დაყრდნობოდა პროკურორის გადაწყვეტილებას, შეწყვეტილიყო სისხლის სამართალწარმოება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 61-ე პუნქტი), რომლის თანახმადაც მხოლოდ სისხლის სამართლის სასამართლოს საბოლოო განაჩენია სავალდებულო იმ სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს შესაბამისი ქმედების სამოქალაქო შედეგებს. პროკურორის ბრძანებას, გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით, არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია და ხსენებული გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო იმ სასამართლოსათვის, რომელიც იხილავს ქმედების სამოქალაქო შედეგებს.

როდესაც არ არსებობს სისხლის სამართლის სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც განსასჯელს არ ცნობს ბრალეულად მომჩივანისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა მოპასუხე დამნაშავე, ან უდანაშაულო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დასაშვები ყველა მტკიცებულების საფუძველზე. ამგვარად, წინამდებარე საქმეში, პროკურორის ბრძანებას გამოძიების დახურვის შესახებ, არ გააჩნია არანაირი მნიშვნელობა იმ საკითხთან მიმართებით, რომლითაც მოპასუხე არ იყო დამნაშავე საავტომობილო შემთხვევისას“.

დ. ბ-ნი ასენოვის მიერ 1994-1995 წლებში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები

63. სავარაუდო ქურდობებთან დაკავშირებით, ბ-ნი ასენოვი ბრალდებულ იქნა იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის შემაღენელი ელემენტებიც წარმოადგენს არასრულწლოვნის განგრძობად დანაშაულებრივ ქმედობას, მოიცავს თანამონაწილეებთან ერთად ჩადენილ ქურდობებს და შეღწევას დაკეტილ სათავსოებში, როდესაც მოპარულ ნივთთა ღირებულება მნიშვნელოვანია. მაქსიმალური სასჯელი ამ დანაშაულისათვის არის 3-წლიანი პატიმრობა (1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლის 1(3) პუნქტი, 1(5) და მე-2 პუნქტები, 26-ე მუხლის 1-ელ პუნქტსა და 63-ე მუხლის 1(3) პუნქტთან კავშირში).

64. სავარაუდო ძარცვებთან დაკავშირებით, იგი ბრალდებულ იქნა არასრულწლოვნის მიერ თანამზრახველებთან ერთად განგრძობადი სისხლის-სამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში და მოიცავდა ძარცვას, რომელიც განისაზღვრება, როგორც წართმევა ძალის, ან მუქარის გამოყენებით. სასჯელი განისაზღვრება 5-წლიანი პატიმრობით (სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 26-ე მუხლის 1-ელ პუნქტსა და 63-ე მუხლის 1(2) პუნქტთან კავშირში).

65. სისხლის სამართლის კოდექსის 23-25 მუხლების შესაბამისად, მაქსიმალური სასჯელი, რომელიც ბ-ნი ასენოვს შეიძლება დაკისრებოდა ყველა წაყენებულ ბრალდებაში, მსჯავრდების შემთხვევაში, იყო ექვსნახევარი წლით პატიმრობა.

ე. საგამოძიებო ორგანოები

66. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ასევე სამართლებრივი თეორიისა და პრაქტიკის შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორი ასრულებს ორმაგ ფუნქციას. პირველ ეტაპზე პროკურორი ზედამხედველობს გამოძიებას. იგი კომპეტენტურია, *inter alia*, მისცეს სავალდებულო მითითებები გამომძიებელს, მონაწილეობა მიიღოს დაკითხვაში, ჩხრეკაში, ან სხვა საგამოძიებო მოქმედებაში, გამოითხოვოს საქმე ერთი გამომძიებელიდან და დააწეროს იგი სხვა გამომძიებელს, ან სრულად თუ ნაწილობრივ თავად განახორციელოს გამოძიება. მას ასევე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, იმასთან დაკავშირებით, შეწყვიტოს თუ არა სისხლის სამართალწარმოება, ბრძანოს დამატებითი გამოძიების ჩატარება, ან მოამზადოს საბრალდებო დასკვნა და საქმე წარმართოს სასამართლოში. სასამართლოზე მისი ამოცანაა გამოვიდეს ბრალმდებლად.

67. გამომძიებელს გააჩნია გარკვეული დამოუკიდებლობა პროკურორისაგან, მუშაობის მეთოდებსა და გამოძიებასთან დაკავშირებულ გარკვეულ ქმედებებთან მიმართებით, მაგრამ ახორციელებს მის ფუნქციებს პროკურორის მითითებების საფუძველზე და მისი ზედამხედველობის ქვეშ (სსსკ, 48 – ე მუხლის მე-2 პუნქტი და 201-ე მუხლი). იმ შემთხვევაში თუ გამომძიებელი აცხადებს პრეტენზიას პროკურორის მითითებების თაობაზე, მას შეუძლია მიმართოს ზემდგომ პროკურორს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო და სავალდებულოა.

68. სსსკ-ის 86-ე მუხლის თანახმად, პროკურორს და გამომძიებელს ეკისრებათ ბრალდების მხარდამჭერისა და გამამართლებელი მტკიცებულებების შეგროვების ვალდებულება. სისხლის სამართალწარმოების განმავლობაში პროკურორმა უნდა „განახორციელოს კანონიერებაზე ზედამხედველობა“ (სსსკ, 43-ე მუხლი).

ვ. დებულებები წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით

1. საგამომძიებო ორგანოების უფლებამოსილება პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებით

69. ბრალდებულის, მათ შორის, არასრულწლოვნის, წინასწარ პატიმრობაში აყვანა გამომძიებლის, ან პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია, თუმცა არასრულწლოვნების დაპატიმრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება. თუ პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებულია გამომძიებლის მიერ პროკურორის წინასწარი თანხმობის გარეშე, მაშინ აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურორის მიერ 24 საათის განმავლობაში უნდა დამტკიცდეს. ზოგადად, პროკურორი ასეთ გადაწყვეტილებას იღებს საქმის მასალების საფუძველზე, ბრალდებულის მოსმენის გარეშე (სსსკ, მუხლები 152, 172, 201-203 და 377-378).

70. სისხლის-სამართლებრივი გამოძიება 2 თვის განმავლობაში უნდა დამთავრდეს. გამოძიების 6 თვემდე გაგრძელება შესაძლოა ნებადართულ იქნეს რეგიონული პროკურორის მიერ, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, გენერალურ პროკურორს შეუძლია გააგრძელოს იგი 9 თვემდე. ვადის გაგრძელების შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის ციხეში ყოფნის თაობაზე (სსსკ, 222-ე მუხლი).

71. არ არსებობს არანაირი სახის სამართლებრივი ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, ან გამომძიებლის გადაწყვეტილების დამადასტურებელ პროკურორს, მიიღოს მონაწილეობა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოებულ გამოძიებაში ნებისმიერ მომდევნო სისხლის სამართალწარმოებისას. პრაქტიკაში ეს ხშირად ხორციელდება.

2. სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის გადასინჯვა

72. წინასწარ პატიმრობაში აყვანილ პირს შეუძლია დაუყოვნებლივ წარადგინოს საჩივარი კომპეტენტური სასამართლოს წინაშე პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით. სასამართლომ გადაწყვეტილება საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში უნდა მიიღოს (სსსკ, 152-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

73. იმ პრაქტიკის თანახმად, რომელიც ბ-ნი ასენოვის დაკავების დროს ხორციელდებოდა, სასამართლო წინასწარი პატიმრობის შესახებ საჩივარს მხარეთა მონაწილეობის გარეშე დახურულ სხდომაზე იხილავდა. საჩივრის უარყოფის შემთხვევაში, სასამართლო პატიმრობაში მყოფ პირს გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე არ ატყობინებდა.

74. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პირველმა კოლეგიამ დაადგინა, რომ მსგავსი საჩივრების განხილვისას, სასამართლოს არ შეუძლია გამოიძიოს არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულებები პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით. იგი მხოლოდ პატიმრობის ბრძანების კანონიერებას იხილავს. პატიმრობის შესახებ ბრძანება, იმ საქმეებთან მიმართებით, რომელშიც წაყენებული ბრალდებისათვის პირს დაეკისრება 10 წელზე ნაკლები პატიმრობა, მხოლოდ მაშინ იქნება კანონიერი, როდესაც არსებობს ბრალდებულის მიმადღვის, ან ახალი დანაშაულის ჩადენის „რეალური საფრთხე“ (გადაწყვეტილება №24 საქმეზე №268/95).

75. 1992 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პირველმა კოლეგიამ დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდების გასაჩივრება სასამართლოს წინაშე შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადად. ხელახალი საჩივარი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პატიმრობაში მყოფი პირი გათავისუფლების შემდეგ, კვლავ დააპატიმრეს. ყველა სხვა შემთხვევაში პატიმრობაში მყოფ პირს შეუძლია საგამოძიებო ორგანოებს მოსთხოვოს გათავისუფლება თუ შეიცვალოს გარემოებები (გადაწყვეტილება №94 საქმეზე 754/92).

76. სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის პერიოდული გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს სასამართლოს წინაშე, რომელსაც შემდგომში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

სამართალწარმოება კომისიის წინაშე

77. 1993 წლის 6 სექტემბერს განმცხადებლებმა კონვენციის მე-3, მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტსა და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით მიმართეს კომისიას. ისინი 1992 წლის სექტემბერში ჩიოდნენ ბ-ნი ასენოვის მიმართ არასათანადო მოპყრობის თაობაზე და სამართლებრივი დაცვის საშუალებების უქონლობასთან დაკავშირებით. განმცხადებლები, კონვენციის მე-3 მუხლსა და მე-5 მუხლის 1-ელ, მე-3 და მე-4 პუნქტებზე დაყრდნობით, ასაჩივრებდნენ წინასწარ პატიმრობას 1995 წლის ივლისიდან მოყოლებული, ხოლო კონვენციის 25-ე მუხლზე დაყრდნობით კი - კომისიისათვის მიმართვასთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

78. 1996 წლის 27 ივნისს კომისიამ განაცხადი (№24760/94) არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა. 1997 წლის 10 ივლისის მოხსენებაში, 1992 წლის სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მე-3 (16 ხმა 1-ის წინააღმდეგ) და მე-6 მუხლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია (ერთხმად), ხოლო მე-13 მუხლის დარღვევას - კი (ერთხმად). 1995 წლის შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით, კომისიამ ერთხმად აღნიშნა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 მუხლის დარღვევებს, ხოლო მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისას - კი. მისი აზრით, ბულგარეთმა არ შეასრულა 25-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებები. კომისიის მოსაზრების სრული და განსხვავებული ტექსტი, რომელიც ასახული იყო მოხსენებაში, თან ერთვის წინამდებარე განაჩენს.¹

სასამართლოსათვის საბოლოო არბუმენტაციის წარდგენა.

79. მემორანდუმსა და ზეპირ მოსმენაზე მთავრობამ თხოვნით მიმართა სასამართლოს, უკუეგდო განმცხადებლის საჩივრები. ბ-ნმა ასენოვმა ასევე თხოვნით მიმართა სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს კონვენციის 25-ე მუხლთან კავშირში დაედგინა კონვენციის მე-3, მე-5, მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევა. სამივე განმცხადებელმა კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვა სამართლებრივი დაკმაყოფილების მინიჭება.

სამართალთან დაკავშირებით

I. განმცხადებლები

80. სასამართლოს წინაშე გამართულ მოსმენაზე განმცხადებლების ადვოკატმა წარმოადგინა განმარტება, რომლის თანახმადაც, ბ-ნი ასენოვის მშობლები შეუერთდნენ

¹ რეგისტრატორის შენიშვნა. პრაქტიკული მიზეზების გამო, ხსენებული დანართი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ განაჩენის ნაბეჭდ ვერსიასთან ერთად (1998 წლის მოხსენებებსა და განაჩენებში) კომისიის მოხსენების ასლის მოპოვება შესაძლებელია რეგისტრატურაში.

შეიღის საჩივარს იმ მიზეზით, რომ იმ დროისათვის ბ-ნი ასენოვი არასრულწლოვანი იყო და ბუღგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად არაქმედუნარიანად ითვლებოდა. არსებული პოზიციის თანახმად კი ბ-ნი ასენოვი წარმოადგენდა ყველა საჩივრის ერთადერთ განმცხადებელს, გარდა კონვენციის 25-ე მუხლთან დაკავშირებული საჩივრისა, რომელიც წარადგინა მშობლებთან ერთად.

81. ამიტომაც სასამართლო, ყველა საჩივართან მიმართებით, გარდა 25-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრისა, იმსჯელებს მხოლოდ და მხოლოდ იმის თაობაზე, ადგილი ჰქონდა თუ არა ბ-ნი ასენოვის უფლებების დარღვევას. 25-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულ საჩივართან მიმართებით, სასამართლო ასევე განიხილავს ბ-ნი ივანოვისა და ქ-ნი ივანოვას პოზიციას.

II. 1992 წლის 19 სექტემბრის და შემდგომი პერიოდის მოვლენები

ა. მთავრობის პირველადი პრეტენზიები

1. სავარაუდოდ ამოუწურავი სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები

82. მთავრობის განცხადებით, ბ-ნი ასენოვის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი, 1992 წლის 19 სექტემბრის მოვლენებთან მიმართებით, უნდა გამოცხადებულიყო დაუშვებლად ამოუწურავი სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების საფუძველზე. კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად:

„კომისია უფლებამოსილია სამართლებრივი დაცვის ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალების შემდეგ განიხილოს საკითხი, როგორც ეს დადგენილია საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებული წესების თანახმად...“

მთავრობის მტკიცებით, პოლიციის ოფიცრების მიმართ სისხლის-სამართლებრივი გამოძიების აღძვრის მოთხოვნის გარდა, განმცხადებელს შეეძლო აღედრა სამოქალაქო სამართალწარმოება ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ან აღედრა ადმინისტრაციული სამართალწარმოება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც ეხება „ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას“.

83. სასამართლოს წინაშე გამართულ მოსმენაზე განმცხადებლის მტკიცებით, ბუღგარეთის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოსაწურად დამატებითი ნაბიჯების გადადგმა ძნელი წარმოსადგენი იყო.

84. დაშვებადობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში, კომისიამ კვლავაც აღნიშნა, რომ სამოქალაქო კომპენსაცია არ შეიძლება განიხილებოდეს ისე, თითქოს იგი სრულად ანაზღაურებს მე-3 მუხლის დარღვევას. კომისიამ დაადგინა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული დირექტორატისა და საგამოძიებო ორგანოების წინაშე გასაჩივრებით, განმცხადებლებმა გააკეთეს ყველაფერი, რათა აღძრულიყო სისხლის სამართალწარმოება პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ და ამგვარად წარუდგინეს საჩივარი ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომლებიც ყველაზე კომპეტენტური იყვნენ გამოძიების წარმოებაში.

85. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის 26-ე მუხლში მითითებული წესი, სამართლებრივი დაცვის ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვასთან დაკავშირებით, ავალდებულებს ყველას, ვისაც სურს საერთაშორისო სასამართლო

ორგანოს წინაშე სახელმწიფოს წინააღმდეგ განაცხადის შეტანა. პირველ რიგში, მათ უნდა გამოიყენონ ყველა ის საშუალება, რომლებიც უზრუნველყოფილია ეროვნული სამართლებრივი სისტემით და ამგვარად, ათავისუფლებენ სახელმწიფოებს საერთაშორისო ორგანოს წინაშე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან, სანამ მათ აქვთ შანსი გადაჭრან საკითხები ეროვნული სამართლებრივი სისტემის საშუალებით. ამ წესის დასაცავად განმცხადებელმა ზოგადად უნდა მიმართოს სამართლებრივი დაცვის იმ საშუალებებს, რომლებიც ხელმისაწვდომი და საკმარისია სავარაუდო დარღვევის გამოსასწორებლად (იხ. Aksoy v. Turkey 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, მოხსენებები განაჩენებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, გვ. 2275-76, §§ 51-52).

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელს არ შეუძლია აღძრას სისხლის სამართალწარმოება იმ დანაშაულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მათი უფლებამოვალეობების განხორციელების პროცესში (იხ. წინამდებარე განაჩენის 58-ე პუნქტი). სასამართლოს განცხადებით, განმცხადებელმა მრავალი საჩივრით მიმართეს საგამოძიებო ორგანოებს ყველა დონეზე და მოითხოვეს მათგან სრულფასოვანი სისხლის სამართალწარმოების განხორციელება პოლიციის მიერ ბ-ნი ასენოვის სავარაუდო წამებასთან და შესაბამისი ოფიცრების წინააღმდეგ გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 12-31 პუნქტები). სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლებრივი სისტემის შიგნით, ყველა შესაძლებლობების ამოწურვის შემთხვევაში, განმცხადებელს არ მოეთხოვებოდა, მის საჩივრებთან დაკავშირებით სისხლის-სამართლებრივი გამოძიების განუხორციელებლობის გამო, შეესრულებინა სხვა მცდელობა და ზიანთან დაკავშირებით გამოესწორებინა დარღვეული უფლება სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრით. ამიტომაც, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მთავრობის პირველადი პრეტენზია უარყოფილ უნდა იქნეს.

2. სტრასბურგის სამართალწარმოების სავარაუდო ბოროტად გამოყენება

87. დამატებით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები წარმოდგენდა საჩივრით მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებას, რადგანაც იგი არ იყო დასაბუთებული და მათი დანიშნულება იყო კომისიის შეცდომაში შეყვანა. ამიტომაც, განაცხადი უნდა უარყოფილიყო კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც:

„კომისიამ დაუშვებლად უნდა გამოაცხადოს ნებისმიერი განაცხადი, რომელსაც იგი მიიჩნევს შეუთავსებლად კონვენციის დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებლად, ან მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად“.

88. განიხილა რა განმცხადებლის საჩივრები, კომისიამ გამოთქვა მოსაზრება არსებით განხილვაზე დაშვებადობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში, რომ განაცხადი წამოჭრიდა ფაქტებთან და სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მოითხოვდა არსებითად სრულად განხილვას.

89. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი, რათა კომისიის წინაშე წარმოდგენილი წინამდებარე საქმე ჩაითვალოს განაცხადით მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად. ამიტომ სასამართლო უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიას.

ბ. არსებითი განხილვა

1. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეუდო დარღვევა

90. ბ-ნი ასენოვი ამტკიცებდა, რომ 1992 წლის 19 სექტემბრის მოვლენები წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც:

„შეუძლებელია ვინმე დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას, ან სასჯელს“.

ბ-ნი ასენოვი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული მუხლი დაირღვა ორ შემთხვევაში. პირველ რიგში, განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს განეხილა სამედიცინო მტკიცებულება და მოწმეთა ჩვენება, რომლებიც, მისი მტკიცებით, ადასტურებდნენ, რომ იგი სასტიკად იყო ნაცემი პოლიციის ოფიცრების მიერ. მეორე, მონაწილე მხარესთან ერთად (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-5 პუნქტი), განმცხადებელი თხოვნით მიმართავდა სასამართლოს, რათა მას დაედგინა, რომ გონიერული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ჩადენილი წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელისას, კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვის განუხორციელებლობა, თავისთავად, წარმოადგენდა მე-3 მუხლის დარღვევას.

91. მთავრობის განცხადებით, განმცხადებლის სამედიცინო დასკვნაზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო, რადგანაც იგი შესაბამისი ინციდენტიდან 2 დღის შემდგომ გაიცა. დასკვნაში აღწერილი დაზიანებები და ბ-ნ ივანოვთან დაკავშირებით რაიმე სახის სამედიცინო ცნობის უქონლობა ნებისმიერ შემთხვევაში შეესაბამებოდა მოწმეთა იმ ჩვენებებს, რომლის მიხედვითაც მამა თავის შვილს სცემდა ფიცრის ნაჭრით.

92. წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასებისას, კომისიამ გაითვალისწინა პრინციპი, რომლის თანახმადაც, როდესაც ინდივიდი აცხადებს, რომ მას არასათანადო მოპყრობის შედეგად ციხეში ზიანი მიაყენეს, მთავრობა ვალდებულია წარმოადგინოს სრულყოფილი და საკმარისი ახსნა-განმარტება აღნიშნული დაზიანებების წარმოშობასთან დაკავშირებით (იხ. *Ribitsch v. Austria* საქმეზე გამოტანილი განაჩენი - 1995 წლის 4 დეკემბერი, სერია ა, №. 336, გვ. 25-26, § 34, ზემოხსენებული განაჩენი საქმეზე *Aksoy v. Turkey*, განაჩენი, გვ. 2278, § 61). კომისიის, *inter alia*, აზრით, უთანხმოება წარმოიშვა ავტობუსების სადგურზე პოლიციის ოფიცრებსა და ბ-ნ ივანოვს შორის; შვილის დასჯის თაობაზე მზადყოფნის წარმოსაჩენად, ამ უკანასკნელმა თავის ვაჟიშვილს ფიცრის ნაჭერი ჩაარტყა, რის შედეგადაც, ორივე განმცხადებელი, პოლიციის დაწესებულებაში, დაახლოებით, 2 საათის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდა. მომხდარი მოვლენებიდან 4 საათნახევარზე მეტი დროის გავლის შემდეგ და ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ დამოუკიდებელი და დროული გამოძიების განუხორციელებლობის შედეგად, კომისიას არ ჰქონდა საშუალება დაედგინა, მოვლენათა აღწერის რომელი ვერსია იყო უფრო დამაჯერებელი. ამიტომაც კომისიამ ვერ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა.

93. როგორც ეს სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, მე-3 მუხლი მოიცავს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს. ყველაზე რთულ გარემოებებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმის, ან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია კრძალავს აბსოლუტური ტერმინებით წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას, ან სასჯელს. კონვენციის, 1-ლი და მე-4 ოქმების უმეტესი დებულებებისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ მოიცავს დებულებას, რომელიც იძლევა გამონაკლისის, ან გადახვევის უფლებას, რაც ნებადართულია მე-15 მუხლით, საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, როდესაც საფრთხე ექმნება ერის სიცოცხლეს (იხ. ზემოხსენებული განაჩენი საქმეზე *Aksoy v. Turkey*, გვ. 2278, § 62).

94. სასამართლო კვლავაც ადასტურებს, რომ არასათანადო მოპყრობამ უნდა მიადწიოს მინიმალურ ზღვარს, რათა მოხედეს მე-3 მუხლის განხილვის სფეროში. ხსენებული მინიმუმის შეფასება ფარდობითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და/ან სულიერი შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. თავისუფლება აღკვეთილი პირის მიმართ, ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ იყო მკაცრად აუცილებელი პირის მიერ განხორციელებული ქმედების გამო, ამცირებს პირის ღირსებას და მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას წარმოადგენს (იხ. განაჩენი საქმეზე Tekin v. Turkey 1998 წლის 9 ივნისი, მოხსენებები 1998-IV, გვ. 1517-18, § 52, 53).

95. სასამართლო მიიჩნევს, რომ ექიმის მიერ ბ-ნი ასენოვის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების ხარისხი (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-11 პუნქტი) მიანიშნებს, რომ განმცხადებლის მამის, ან პოლიციის მიერ მიყენებული დაზიანებები საკმაოდ სერიოზული იყო იმისათვის, რომ მიეჩნიათ არასათანადო მოპყრობად მე-3 მუხლთან მიმართებით (იხ. მაგალითად, განაჩენი საქმეზე A. v. the United Kingdom 1998 წლის 23 სექტემბერი, მოხსენებები 1998-VI, გვ. 2699, § 21, ასევე ზემოხსენებული განაჩენი „Ribitsch“-ს საქმეზე გვ. 9, 26, §§ 13, 39). განსახილველი რჩება ის საკითხი, რომ მიყენებული დაზიანებების მიხედვით, დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

ა) პოლიციის მხრიდან დაუდასტურებელი ცუდი მოპყრობა

96. სასამართლო კვლავაც ადასტურებს, რომ კომისიამ ვერ შეძლო წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაედგინა, თუ რა გზით იყო გამოწვეული განმცხადებლის დაზიანებები (იხ. წინამდებარე განაჩენის 92-ე პუნქტი).

97. სასამართლო აცხადებს, რომ ექიმმა, რომელმაც გასინჯა ბ-ნი ასენოვი პატიმრობიდან 2 დღის შემდეგ დაადგინა, რომ დაზიანებები მსხვერპლის სხეულზე მყარი საგნით იყო მიყენებული (იხ. წინამდებარე განაჩენის 26-ე მუხლი). განმცხადებლის მტკიცებით, ხსენებული დაზიანებები პოლიციის ოფიცრების მიერ ხელკეტებით ცემის შედეგად იყო გამოწვეული.

98. სასამართლოს აზრით, რადგანაც დავის საგანს არ წარმოადგენს 1992 წლის 19 სექტემბერს განმცხადებელზე ძალადობის განხორციელების ფაქტი და არ არსებობს არანაირი სახის მინიშნება, იმასთან დაკავშირებით, რომ რაიმე მოხდა აღნიშნულ დღესა და მის სამედიცინო გასინჯვას შორის, სამართლიანი იქნება ვივარაუდოთ, რომ ზემოხსენებული დაზიანებები განმცხადებელმა 1992 წლის 19 სექტემბერს დაკავებისას მიიღო.

99. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ოფიცერმა, რომელმაც დააკავა ბ-ნი ასენოვი, დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მან დაინახა, როგორ ჩაართვა 2-ჯერ, თუ 3-ჯერ ბ-ნმა ივანოვმა თავის შვილს ზურგში წვრილი ხის ჯოხი (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-14 მუხლი). განმცხადებლები ამ ფაქტს არ უარყოფდნენ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ჩარტყმა არ განხორციელებულა იმ სიძლიერითა და სიხშირით, რომ გამოეწვია ის დაზიანებები, რომლებიც აღწერილი იყო სამედიცინო ცნობაში. 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ-ნ ივანოვას მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე, „შსრდ“ (DDIA)-ს აგენტმა განმცხადებლები დაკითხა და დაკავების განმანათლებელი ოფიცრისაგან მოიპოვა ზემოხსენებული წერილობითი განცხადება. აგენტმა ასევე მოიპოვა ჩვენებები საქმეში მონაწილე სხვა ორი ოფიცრისაგან, რომელთაგან არც ერთი არ ესწრებოდა იმ მომენტს,

როდესაც ბ-ნმა ივანოვმა ჩაარტყა ბ-ნ ასენოვს. ერთადერთ დამოუკიდებელ მოწმეს, რომელიც დაკითხა „შსრდ“ (DDIA)-ს აგენტმა, ავტობუსების სადგურზე რაიმე სახის აქადმაქალის გახსენება არ შეეძლო (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-15 პუნქტი). 1993 წლის ივლისში, განმცხადებლებისაგან ფარულად, ავტობუსების სადგურზე ორი სხვა მოწმის ჩვენება იქნა მოპოვებული. ერთ-ერთ მოწმეს შესაბამისი მოვლენები ბუნდოვნად ახსოვდა. მეორე მოწმის (ავტობუსის მძღოლი) განცხადებით, მან დაინახა თუ როგორ ჩაარტყა ბ-ნმა ივანოვმა თავის შვილს ხის ნაჭერი, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ქმედობა და რაოდენ სასტიკი იყო ცემა (იხ. წინამდებარე განაჩენის 28-ე პუნქტი). არც ერთ მოწმეს, გარდა განმცხადებლისა, არ განუცხადებია, რომ მათ დაინახეს თუ როგორ ურტყამდნენ პოლიციის ოფიცრები ბ-ნ ასენოვს.

100. სასამართლო, კომისიის მსგავსად (იხ. წინამდებარე განაჩენის 92-ე პუნქტი), მის წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შეუძლებლად მიიჩნევს განმცხადებლის მიმართ პოლიციის მიერ მიყენებულ დაზიანებებს, როგორც ამას თავად განმცხადებელი ამტკიცებდა.

ბ) გამოძიების ადეკვატურობა

101. თუმცა სასამართლო თვლის, რომ სამედიცინო მტკიცებულება, ბ-ნი ასენოვის ჩვენება, ის ფაქტი, რომ იგი პატიმრობაში იმყოფებოდა 2 საათის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში, მოწმეებისაგან ჩვენების არქონა, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ბ-ნმა ივანოვმა იმდენად სასტიკად სცემა თავისი შვილი, რომ შეეძლო გამოეწვია აღნიშნული დაზიანებები, ყოველივე ეს წარმოშობდა გონიერულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოხსენებული დაზიანებები შესაძლებელია გამოწვეულიყო პოლიციის წარმომადგენლის მიერ.

102. სასამართლოს მიაჩნია, რომ ხსენებულ გარემოებებში, როდესაც პირი წარმოადგენს დასაბუთებულ საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ სერიოზული სახის არასათანადო მოპყრობა პოლიციის, ან სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლების მხრივ არაკანონიერად და მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განხორციელდა, აღნიშნული დებულება, აღქმულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან კონვენციის 1-ელ მუხლთან კავშირში, რომლის თანახმადაც „სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასათვის უზრუნველყონ [...] კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“. აღნიშნული ვალდებულება მოითხოვს და გულისხმობს, რომ უნდა განხორციელდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება. ხსენებული გამოძიების შედეგად, ისევე, როგორც, მე-2 მუხლის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იქნეს იმ პირთა გამომჟღავნება და დასჯა, ვინც ჩაიდინა ხსენებული დანაშაული (კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებით იხ. საქმეზე *McCann and Others v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი 1995 წლის 27 სექტემბერს, სერია ა, № 324, გვ. 49, § 161, საქმეზე *Kaya v. Turkey* გამოტანილი განაჩენი 1998 წლის 19 თებერვალი, მოხსენებები 1998-I, გვ. 324, § 86 და საქმეზე *Yaşa v. Turkey* გამოტანილი განაჩენი 1998 წლის 2 სექტემბერი, მოხსენებები 1998-VI, გვ. 2438, § 98). იმ შემთხვევაში თუ ეს ასე არ იქნებოდა, წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა (იხ. წინამდებარე პუნქტის 93-ე პუნქტი), არაეფექტური იქნებოდა პრაქტიკაში. ზოგიერთ შემთხვევაში კი, შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს წარმომადგენლებს დაუსჯელათ დაერღვიათ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა უფლებები.

103. სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ-ნი ივანოვას საჩივრის შემდგომ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს გარკვეული გამოძიება განმცხადებლის

პრეტენზიებთან დაკავშირებით. თუმცა, სასამართლოს ეუვი ეპარება, რომ ჩატარებული გამოძიება საკმარისად ჯეროვანი და ეფექტური იყო, რათა დაეკმაყოფილებინა მე-3 მუხლის ზემოხსენებული მოთხოვნები. ამ მხრივ, სასამართლო განსაკუთრებულად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ „შსრდ“ (DDIA)-ს გამოძიებული მზად იყო დაესკვნა, რომ ბ-ნი ასენოვის დაზიანებები გამოწვეული იყო მამამისის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-16 პუნქტი), მიუხედავად არასაკმარისი მტკიცებულებებისა, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელმა თავის შვილს იმ ძალით სცემა, რომ გამოეწვია ის დაზიანებები, რომლებიც აღწერილი იყო სამედიცინო ცნობაში. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ინციდენტი მოხდა საზოგადოებრივ ადგილას, ავტობუსების სადგურზე და შესაბამისი პოლიციის ოფიცრების განცხადებების თანახმად, ინციდენტის დროს შეიკრიბა დაახლოებით 15 ბოშა და 20 ავტობუსის მძღოლი, არანაირი მცდელობა არ განხორციელებულა, რათა გარკვეულიყო სიმართლე ამ მოწმეებთან დაკავშირებისა და დაკითხვით დაუყოვნებლივ ინციდენტის შემდეგ, როდესაც მეხსიერებაში ნათლად იქნებოდა ასახული მომხდარი მოვლენები. ხსენებულის სანაცვლოდ იმ დროისათვის ჩვენება ჩამორთმეულ იქნა მხოლოდ ერთადერთი დამოუკიდებელი მოწმისაგან, რომელსაც არ შეეძლო გაესხენებინა შესაბამისი მოვლენები (იხ. წინამდებარე განაჩენის 99-ე პუნქტი).

104. რეგიონული სამხედრო პროკურატურისა (RMPO) და გენერალური სამხედრო პროკურატურის (GMPO) მიერ განხორციელებული გამოძიება ზედაპირული იყო. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „GMPO“-მ შესძლო გამოეტანა დასკვნა, რაიმე სახის მტკიცებულების გარეშე, იმასთან დაკავშირებით, რომ ბ-ნი ასენოვი არ ემორჩილებოდა პოლიციას, და რაიმე სახის ახსნა-განმარტების გარეშე სავარაუდო დაუმორჩილებასთან დაკავშირებით, რომ „თუნდაც დაზიანებები აღინიშნებოდას არასრულწლოვნის სხეულზე, ისინი გამოწვეული იყო პოლიციის ბრძანებების დაუმორჩილებლობის შედეგად“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 26-ე პუნქტი). ასეთი დასკვნის გაკეთება წინააღმდეგობაში მოდის მე-3 მუხლით დადგენილ პრინციპებთან, რომელთა თანახმადაც, თავისუფლებაა დაცვითი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც მკაცრად აუცილებელი არ იყო იმავე პირის ქმედობასთან მიმართებით, პრინციპში წარმოადგენს მისი უფლებების დარღვევას (იხ. წინამდებარე განაჩენის 94-ე პუნქტი).

105. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1993 წლის ივლისში „GMPO“-მ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციის მიერ არასათანადო ქმედობის განხორციელების შემთხვევაში, აუცილებელი იყო მტკიცებულებათა მოპოვება დამოუკიდებელი მოწმეებისაგან (იხ. წინამდებარე განაჩენის 27-ე პუნქტი). თუმცა, 2 დამატებითი მოწმის დაკითხვა, რომელთაგან ერთ-ერთს ბუნდოვნად ახსოვდა შესაბამისი ინციდენტი, არ იყო საკმარისი იმ ხარვეზების გამოსასწორებლად, რომლებიც იმ დროისათვის დაუშვა გამოძიებამ.

106. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჯეროვანი და ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა, განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მის ცემას პოლიციის ოფიცრების მიერ, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

2. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

107. ბ-ნი ასენოვი ჩიოდა, რომ მას უარი განუცხადეს სასამართლოზე ეფექტურ ხელმისაწვდომობაზე, რაც არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს, რომლის თანახმადაც

„სამოქალაქო უფლებათა... განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე...“.

108. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილება, არ აღეძრათ სისხლის სამართალწარმოება იმ პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ, რომლებიც სავარაუდოდ არასათანადოდ მოეპყრნენ მათ, ფაქტიურად ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ მას ბარიერები შექმნოდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის კუთხით ზიანის გამო სამოქალაქო სარჩელის წარდგენასთან მიმართებით, რომელიც წარმოიშვა იმავე ინციდენტთან დაკავშირებით. ამგვარად, რადგანაც არანაირი სისხლის-სამართლებრივი სამართალწარმოება არ ეოფილა აღძრული, მას არ მიეცა საშუალება გამხდარიყო სამოქალაქო სამართალწარმოების მხარე, რათა წარედგინა პრეტენზია კომპენსაციასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 59-ე პუნქტი). უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი უშვებდა ზიანთან დაკავშირებით სამოქალაქო სასამართლოებში სამართალწარმოების აღძვრის თეორიულ შესაძლებლობას, იგი ამტკიცებდა, რომ, რადგანაც ზიანი წარმოშვა სავარაუდო დანაშაულებრივმა ფაქტმა, სამოქალაქო სასამართლო ვალდებული იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის 182-ე (დ) მუხლის თანახმად (იხ. წინამდებარე განაჩენის 61-62 პუნქტები), შეეჩერებინა ნებისმიერი ასეთი სამართალწარმოება, სანამ არ გადაწყდებოდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. გაჭიანურების პრაქტიკა, რომელიც იყო ბულგარეთის სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი, შესაძლებელია განუსაზღვრელად გაგრძელებულიყო.

109. კომისიამ, რომლის მოსაზრებასაც იზიარებდა მთავრობა (იხ. წინამდებარე განაჩენის 82-ე პუნქტი), აღნიშნა, რომ ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ კანონი და ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონი უზრუნველყოფდნენ ზიანის გამო სამართალწარმოების აღძვრის უფლებას პოლიციის მიერ არაკანონიერ ქმედობათა მიმართ. განმცხადებელს ასეთი სამართალწარმოება რომ აღეძრა, სამოქალაქო სასამართლო განიხილავდა მას წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უწინარესად დადგენის გარეშე. ბულგარეთში მოქმედი პრეცედენტული სამართლის თანახმად, სამოქალაქო სასამართლო მხოლოდ მაშინ შეაჩერებდა სამართალწარმოებას სამოქალაქო საპროცესო კანონის 182-ე (დ) მუხლის შესაბამისად, თუ იგი აღმოაჩენდა ახალ „სისხლის სამართლის ხასიათის ელემენტებს“. მაგალითად, ისეთ ფაქტებს, რომლის შესახებაც გამოძიებას არ გააჩნდა არანაირი ინფორმაცია. კომისიას არ მიაჩნდა, რომ ხსენებული პროცედურა მოქმედებდა იმგვარად, რომ უგულვებლყო სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ძირითადი არსი განმცხადებლის შემთხვევაში.

110. სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მიერ ზიანთან დაკავშირებით წარმოდგენილი ნებისმიერი საჩივარი, რომელიც ემყარებოდა პოლიციის მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას, ასევე მოიცავდა მომავალში „სამოქალაქო უფლებათა განსაზღვრას“. ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ასკვნის, რომ ამ მიზეზით აღნიშნული საკითხი ხვდება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განხილვის სფეროში.

111. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ კანონი და ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონი უზრუნველყოფდა მას სამოქალაქო სასამართლოებში სამართალწარმოების აღძვრის შესაძლებლობით. თუმცა, განმცხა-

დებული ამტკიცებდა, რომ ასეთი სამართალწარმოება სავარაუდოდ განუხსავდრელი ვადით შეჩერდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე (დ) მუხლის საფუძველზე.

112. მხარეების მიერ წარმოდგენილი ბუღალრეთის პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე განახენის 62-ე პუნქტი), სასამართლო აღნიშნავს, რომ უზანაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქმეზე, რომელიც ეხებოდა საავტომობილო შემთხვევას, სამოქალაქო სასამართლო არ არის შეზღუდული საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებით სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხსენებული წესი არ იქნებოდა გამოყენებული მის საქმეში, რადგანაც საქმე ეხებოდა გაცილებით უფრო სერიოზულ დანაშაულებრივ ქმედობებს, ვიდრე ავტომობილის უყურადღებო მართვაა. თუმცა, ხსენებული მოსაზრება წარმოადგენს წმინდა წყლის სპეკულაციას, რადგანაც ბ-ნ ასენოვს არ განუხორციელებია მცდელობა აღედრა სამოქალაქო სამართალწარმოება. ხსენებულ გარემოებებში არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას შეეზღუდა ხელმისაწვდომობა სასამართლოზე, ან აღეკვეთა შესაძლებლობა სამართლიან სასამართლო მოსმენაზე მის სამოქალაქო უფლებათა განსახდერასთან დაკავშირებით.

113. ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

3. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

114. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მას არ მიეცა საშუალება ესარგებლა სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებით კონვენციასთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებით, მე-13 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც, „ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა ჩადენილია პირთა მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას“.

განმცხადებლის მტკიცებით, მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან მე-13 მუხლის თანახმად, სწრაფად და მიუკერძოებლად გამოიძიონ ასეთი ფაქტები.

115. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს შესაძლებლობა ჰქონდა მიემართა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებისათვის პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ პრეტენზიასთან მიმართებით. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კომისიის წინაშე განაცხადის წარმოდგენამდე, მან საჩივრით მიმართა რეგიონულ დირექტორატს შოუმენში, „RMPO“-ს ვარნაში და „GMPO“-ს სოფიაში. განიხილეს რა მტკიცებულებები, საგამოძიებო ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ისინი არასაკმარისი იყო სისხლის სამართალწარმოების აღდერისათვის. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღნიშნულიყო, რომ განმცხადებელს არ დაუსაბუთებია მისი პრეტენზიები და არ დაუსახელებია მოწმეები, რომელთაც შესაძლოა დახმარება აღმოეჩინათ გამოძიებისათვის.

116. კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა დასაბუთებული პრეტენზია პოლიციის მხრივ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ოფიციალური გამოძიება არ ყოფილა საკმარისად ჯეროვანი და დამოუკიდებელი, რათა დაეკმაყოფილებინა კონვენციის მე-13 მუხლი.

117. სასამართლო კვლავაც ადასტურებს, რომ მე-13 მუხლი უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებაზე ხელმისაწვდომობას ეროვნულ დონეზე, რათა განხორციელდეს კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ისინი დაცული ეროვნულ სამართალში. ხსენებული მუხლის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალების უზრუნველყოფა, რომელიც ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოს საშუალებას მისცემდა განეხილა კონვენციასთან დაკავშირებული საჩივარი და აღმოეჩინა კონკრეტული დახმარება, თუმცა, ხელშემკერველ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული თავისუფლება, თუ რა სახით აღასრულონ ხსენებული დებულებით დაკისრებული ვალდებულება. მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულების ფარგლები განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია კონვენციასთან დაკავშირებული პრეტენზიის სახეობაზე. როდესაც პირს გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მას არასათანადოდ მოეპყრნენ მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების ცნება ჯეროვანი და ეფექტური გამოძიების წარმართვასთან ერთად, რაც მოთხოვილია მე-3 მუხლით (იხ. წინამდებარე განაჩენის 102-ე პუნქტი), მოითხოვს მოსარჩელის ეფექტურ ხელმისაწვდომობას საგამოძიებო პროცედურაზე და მისთვის კომპენსაციის გადახდას, როდესაც ეს შესაფერისია (იხ. შემოხსენებული განაჩენი Aksoy-ს საქმეზე, გვ. 2286, 2287, §§ 95, 98).

118. სასამართლო მიუთითებს მის შემოხსენებულ დასკვნაზე, რომ ბ-ნ ასენოვს გააჩნდა დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო წარმომადგენლებმა მასზე განახორციელეს არასათანადო მოპყრობა და ამ პრეტენზიასთან დაკავშირებული ეროვნული გამოძიება არ იყო საკმარისად ჯეროვანი და ეფექტური. შემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ადგილი ჰქონდა ასევე კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

II. 1995 წელს განხორციელებული და შემდგომი მოვლენები

ა. მთავრობის პირველადი პრეტენზია

1. სამართლებრივი დაცვის საშუალებების სავარაუდო არამოწურვა

119. მთავრობის მტკიცებით პრეტენზიები, რომლებიც ეხებოდა 1995 წლისა და შემდგომ მოვლენებს, დაუშვებლად უნდა იქნეს გამოცხადებული არსებით განხილვაზე კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად (იხ. წინამდებარე განაჩენის 82-ე პუნქტი), რადგანაც სისხლის სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა განმცხადებლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, განმცხადებელს არ მიუძღრათავს საჩივრით გენერალური პროკურორისათვის იმ ბრძანებასთან დაკავშირებით, რომლითაც მას უარი ეთქვა 1995 წლის 8 დეკემბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-40 პუნქტი).

120. არსებით განხილვაზე დაშვებადობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში, კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებელმა გამოიყენა სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლებელი საშუალება მე-5 მუხლთან დაკავშირებულ პრეტენზიასთან მიმართებით.

121. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი ასენოვის პრეტენზიები ეხება მოყოლებული 1995 წლის ივლისიდან მისი პატიმრობის სხვადასხვა მხარეებს. ამიტომაც არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა კომისიის წინაშე მიმართვის პერიოდში, რადგანაც ხსენებული სისხლის სამართალწარმოება ვერ უზრუნველყოფდა მას სამართლებრივი დაცვის საშუალებით წინა პატიმრობის არაკანონიერებასთან დაკავშირებით.

122. ამასთანავე სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-მა ასენოვმა და მისმა მშობლებმა მრავალჯერ მიმართეს საგამოძიებო ორგანოებსა და შოუმენის რაიონულ სასამართლოს გათავისუფლების თხოვნით. ხსენებულ გარემოებებში, ევროპული სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებდა კონვენციის 26-ე მუხლის მოთხოვნებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 85-ე პუნქტი). ზემოხსენებულიდან გამომდინარე უარყოფილ უნდა იქნეს მთავრობის პირველადი პრეტენზია.

2. პროცესის სავარაუდო ბოროტად გამოყენება

123. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ პრეტენზიები 1995 წლის ივლისისა და შემდგომ მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, არსებით განხილვაზე უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად (იხ. წინამდებარე განაჩენის 87-ე პუნქტი), რადგანაც ისინი არ წარმოადგენდნენ პირველადი განაცხადის ნაწილს, რომელიც წარედგინა კომისიას და მიზეზობრივად არ იყო დაკავშირებული გასაჩივრებულ მოვლენებთან.

124. სასამართლოს წინაშე გამართულ მოსმენაზე, კომისიის დელეგატმა აღნიშნა, რომ განმცხადებლის საჩივრებს შორის კავშირის არარსებობასთან დაკავშირებით მთავრობას დაშვებადობის სტადიაზე რაიმე სახის პრეტენზია არ წამოუყენებია. მან ასევე განაცხადა, რომ ამ მიზეზით მთავრობას არ უნდა მისცემოდა საშუალება წამოეჭრა პრეტენზია სასამართლოს წინაშე. დელეგატმა განაცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებლებს უფლება ჰქონდათ პრეტენზია განეცხადებინათ კონვენციით განსაზღვრული მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. პროცედურულ საკითხს წარმოადგენდა - პრეტენზიები ერთად განხილულიყო, თუ ცალ-ცალკე.

125. სასამართლო თანხმობას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ, რადგანაც მთავრობის პირველადი პრეტენზიები, პროცესის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, კომისიის წინაშე სამართალწარმოების დაშვებადობის სტადიაზე არ წამოჭრილა, მას არ შეუძლია დააყენოს ეს საკითხი სასამართლოს წინაშე (იხ. ბევრ სხვა მაგალითს შორის საქმეზე *Loizidou v. Turkey* გამოტანილი განაჩენი, 1995 წლის 23 მარტი, (პირველადი პრეტენზიები), სერია ა, № 310, გვ. 19, § 44).

126. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ პრეტენზიები მთავრობის მიერ პატივისცემის სავარაუდო არ გამოძღვანება, კონვენციის 25-ე მუხლით განსაზღვრულ ინდივიდუალური განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით, არ იყო დასაბუთებული და ამიტომაც აშკარად დაუსაბუთებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

127. სასამართლომ ვერ მოიპოვა ვერანაირი მტკიცებულება პროცესის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, რის მიმართაც წარმოდგენილი იყო შესაბამისი პრეტენზიები. ამიტომაც სასამართლო უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიას.

ბ. არსებითი განხილვა

1. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

128. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილ საჩივარში (იხ. წინამდებარე განაჩენის 137-ე პუნქტი) განმცხადებელი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს შოუმენის პოლიციის განყოფილებაში. განმცხადებლის მტკიცებით, იგი მოთავსებული იყო 2 პატიმართან ერთად 3 X 1.8მ სარდაფში განთავსებულ საკანში, რომელიც არ ნიადაგობდა და რომელსაც დღის სინათლე არასაკმარისად მიეწოდებოდა. საკანში მხოლოდ ერთი

საწოლი იდგა. ბ-ნი ასენოვის მტკიცებით, საკნიდან საპირფარეშოში გასვლის უფლებას მხოლოდ დღეში ორჯერ ნახევარი საათით აძლევდნენ.

129. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საკნის ფართობი, რომელშიც ბ-ნი ასენოვი იმყოფებოდა პატიმრობაში, იყო 4.6 X 3.5მ და მასთან მოთავსებული იყო მხოლოდ ერთ პატიმარი.

130. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ჩათვალა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები მისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი წამოიჭრა კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, განხილულ უნდა იქნეს მე-3 მუხლის შესაბამისად. შეაფასა რა მის წინაშე წარმოდგენილი ყველა ფაქტი, კომისიამ დაადგინა, რომ სისასტიკე ვერ აღწევდა იმ ზღვარს, რომელიც არღვევს მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

131. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ წამოუყენებია რაიმე სახის პრეტენზია კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 90-ე პუნქტი) პატიმრობის იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელშიც იგი იმყოფებოდა 1995 წლის ივლისში მისი დაკავების შემდგომ. თუმცა, მან კომისიის წინაშე პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული პრეტენზია წარადგინა თავის საჩივარში, რომელიც ეხებოდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მის პატიმრობის კანონიერებას.

132. სასამართლო კვლავაც ადასტურებს, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება, რათა შეფასება მისცეს საქმის იმ ფაქტებს, რომლებიც კომისიამ არსებით განხილვაზე დაუშვა (იხ. განაჩენი საქმეზე Guerra and Others v. Italy 1998 წლის 19 თებერვალი, მოხსენებები 1998-I, გვ. 242, § 44). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს განმცხადებლის პრეტენზიებზე, რომლებიც დაკავშირებულია მისი პატიმრობის პირობებთან. ხსენებული პრეტენზია განიხილება არასათანადო მოპყრობის საწინააღმდეგო გარანტიების ჭრილში, რაც უზრუნველყოფილია მე-3 მუხლით.

133. სასამართლო აცხადებს, რომ ბ-ნი ასენოვი, რომელიც ხსენებული დროისათვის 17 წლის იყო, წინასწარ პატიმრობაში იქნა აყვანილი თითქმის 11 თვის განმავლობაში და იმყოფებოდა შოუმენის პოლიციის დაწესებულებაში. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი პატიმრობის ზუსტ პირობებთან დაკავშირებით არსებობს დავა განმცხადებელსა და მთავრობას შორის, განსაკუთრებით საკნის ფართობსა და იქ შესახლებულ პირთა რაოდენობასთან დაკავშირებით. კომისიას არ მიუღია რაიმე სახის დასკვნა ფაქტების შესახებ.

134. სასამართლო შეშფოთებით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნობის მიუხედავად, განმცხადებელი თითქმის 11 თვის განმავლობაში იმყოფებოდა იმ პირობებში, რომლებიც გენერალური პროკურატურის აზრით, საზიანო იქნებოდა ბ-ნი ასენოვის ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის, თუ კი პატიმრობა ხანგრძლივი იქნებოდა. უფრო მეტიც, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მის გადაყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომაც კი, გაიარა სამნახევარმა თვემ, სანამ ბ-ნი ასენოვს გადაიყვანდნენ ბოინინოვზის არასრულწლოვანთა კოლონიაში (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-40 პუნქტი).

135. თუმცა, სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს იმის შეფასება, იყო თუ არა აღნიშნული პირობები იმდენად სასტიკი, რომ ადგილი ჰქონოდა მე-3 მუხლის დარღვევას (იხ. წინამდებარე განაჩენის 94-ე პუნქტი). აღნიშნულის განხორციელებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს ყველა გარემოება, როგორიც არის საკნის ფართობი, გადატვირთულობის ხარისხი, სანიტარული პირობები, დასვენების და ვარჯიშის

საშუალებები, სამედიცინო მომსახურება და ზედამხედველობა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

136. მხარეების მიერ შემოხსენებული არგუმენტაციის გარდა, სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი ობიექტური მტკიცებულებები განმცხადებლის პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ კომისიამ სრულად შეაფასა მის წინაშე წარმოდგენილი ფაქტები და ვერ დაადგინა, რომ განმცხადებლის პატიმრობის პირობები საკმარისად სასტიკი იყო იმისათვის, რათა დაერღვია ადამიანის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. ამასთან სასამართლო აღნიშნავს, რომ 1995 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული, ანუ მისი პატიმრობაში აყვანიდან დაახლოებით 1 თვის შემდგომი ერთადერთი სამედიცინო ცნობის თანახმად, განმცხადებელი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო და მისი მშობლების შიშის მიუხედავად, არ არსებობდა არანაირი საფუძველი გულის დაავადებასთან დაკავშირებით, რაც გამწვავდებოდა მისი პატიმრობის გახანგრძლივებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 37-ე პუნქტი). შემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ვერ მიიჩნევს დასაბუთებულად იმ ფაქტს, რომ ბ-ნი ასენოვის პატიმრობის პირობები საკმარისად მკაცრი იყო, რომ გამოეწვია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

2. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

137. ბ-ნი ასენოვი ამტკიცებდა, რომ მისი დაპატიმრება არაკანონიერად განხორციელდა და წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან, რომლის თანახმად,

„ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

...

(გ) პირის კანონიერი დაკავება, ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველიანი ეჭვი, ან, როდესაც ეს საფუძველიანად აუცილებელია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის, ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად“.

განმცხადებელი არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ პირველ ეტაპზე, იგი დააპატიმრეს სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით, მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის შესაბამისად, თუმცა, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ გამოძიება სავარაუდო დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებით დასრულდა 1995 წლის სექტემბრისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ ამის შემდგომ, მისი წინასწარი პატიმრობა წარმოადგენდა გარკვეულწილად სასჯელის სახეს, რაც ეწინააღმდეგებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. უფრო მეტიც, განმცხადებელმა შეახსენა სასამართლოს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვნის პატიმრობაში აყვანა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (იხ. წინამდებარე განაჩენის 69-ე პუნქტი).

138. კომისიამ აღნიშნა, რომ ვადები, რომლებიც მოცემული იყო სსსკ-ის 222-ე მუხლში, ზღუდავდა ნებისმიერი სახის წინასწარ გამოძიებას, მაგრამ არ ეხებოდა წინასწარ პატიმრობას (იხ. წინამდებარე განაჩენის 70-ე პუნქტი). 222-ე მუხლი, გამოძიების გაგრძელების შემდეგ, წინასწარი პატიმრობის დადასტურებას არ მოითხოვს. განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობა შეესაბამებოდა ხსენებულ მოთხოვნას, რადგანაც იგი რაიონულმა სასამართლომ დაადასტურა 1995 წლის 19 სექტემბერს

მიღებული გადაწყვეტილებით და 1995 წლის სექტემბერსა და 1996 წლის ოქტომბერს შორის საგამოძიებო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით. ამიტომაც არ იკვეთება, რომ პატიმრობა არაკანონიერი იყო ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ისევე, როგორც ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რაიმე სხვა საფუძველზე.

139. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემული ტერმინი „კანონიერი“ და „კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად“ უწინარესად მიუთითებენ ეროვნულ კანონმდებლობაზე და აწესებენ მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებთან განხორციელებული ქმედებების შესაბამისობის ვალდებულებას, მაგრამ ამავე დროს ტერმინები ასევე მოითხოვენ, რომ თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი შემთხვევა შესაბამისობაში იყოს მე-5 მუხლის მიზნებთან, რაც მდგომარეობს იმაში, რომ უნდა აღიკვეთოს თავისუფლების აღკვეთის თვითნებური შემთხვევები (იხ. მაგალითად საქმეზე *Erkalo v. the Netherlands* გამოტანილი 1998 წლის 2 სექტემბერს, მოხსენებები 1998-VI, გვ. 2477, § 52).

140. წინამდებარე საქმეში სასამართლო კომისიის მსგავსად ადგენს, რომ არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის პატიმრობა არაკანონიერი იყო ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით. უფრო მეტიც, ნათელია, რომ ბ-ნი ასენოვი პატიმრობაში იმყოფებოდა გონივრული ეჭვის საფუძველზე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საფუძველზე პირის დაპატიმრება ნებადართულია მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის შესაბამისად.

141. ამიტომაც დასასრულს, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

3. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

142. ბ-ნი ასენოვი, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, დაახლოებით, 2 წლის განმავლობაში, მიუთითებდა მისი უფლებების დარღვევაზე, რომელსაც უზრუნველყოფს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და რომლის მიხედვითაც:

„ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული, ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს, ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე, ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

143. როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული განმცხადებელი არ დაობდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი პატიმრობა, ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე, ხვდებოდა მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის მოქმედების ფარგლებში. ხსენებულიდან გამომდინარე გამოიყენება ასევე მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. სასამართლო, პირველ რიგში, განიხილავს იმ ფაქტს, შეიძლება, თუ არა იმის თქმა, რომ ბ-ნი ასენოვი „დაუყოვნებლივ იქნა წარდგენილი მოსამართლის, ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე“. მეორე რიგში სასამართლო განიხილავს უზრუნველყოფილი იყო, თუ არა განმცხადებელი „სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებით“, და ამავე დროს უნდა გათავისუფლებულიყო, თუ არა იგი, სასამართლო სამართალწარმოების მიმდინარეობის პროცესში.

ა) უფლება მოსამართლის, ან სხვა მოხელის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენასთან დაკავშირებით

144. მთავრობის მტკიცებით, სხვადასხვა პროკურორები, რომლებმაც განიხილეს ბ-ნი ასენოვის განაცხადები გათავისუფლებასთან დაკავშირებით, წარმოადგენდნენ „კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეებს“, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, რადგან პროკურორი აბსოლუტურად დამოუკიდებელია, იგი ვალდებული იყო დაეცვა საჯარო ინტერესები და უფლებამოსილი იყო, გადაწყვეტილება მიეღო გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც უკავშირდებოდა სისხლის სამართალწარმოებას. მათ შორის, უნდა გადაეწყვიტა შეეფარდებინა თუ არა წინასწარი პატიმრობა ბრალდებული პირისათვის.

145. კომისიამ, რომელსაც განმცხადებელიც დაეთანხმა, აღნიშნა: მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, გამოძიებულები ინსტიტუციონალურად დამოუკიდებელი იყვნენ, პრაქტიკაში ისინი ექვემდებარებოდნენ პროკურორების კონტროლს გამოძიების წარმართვასთან დაკავშირებულ ყოველ საკითხში, მათ შორის, იმის გადაწყვეტისას, შეეფარდებინათ, თუ არა პირისათვის წინასწარი პატიმრობა. ამიტომაც, ობიექტური მიდგომის საფუძველზე, აშკარა იყო, რომ გამოძიებელი, რომელიც იძიებდა ბ-ნი ასენოვის საქმეს, არ იყო დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოებისაგან, რომლებსაც შემდგომში უნდა წარმოედგინათ ბრალდების მხარე სისხლის სამართალწარმოებაში.

146. სასამართლო კვლავაც ადასტურებს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ადამიანის უფლებაში ჩარევის კონტროლი სასამართლოს მხრივ, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფილია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით (იხ. ზემოხსენებული განაჩენი Aksoy-ის საქმეზე, გვ. 2282, § 76). მანამდე, სანამ შეიძლება ითქვას, რომ „მოხელე“ ახორციელებს „სასამართლო ხელისუფლებას“ ხსენებული დებულების მნიშვნელობით, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები, რომლებიც წარმოადგენენ პატიმრობაში მყოფი პირის გარკვეულ გარანტიებს თავისუფლების აღკვეთის უკანონო, ან თვითნებური შემთხვევების წინააღმდეგ (იხ. განაჩენი საქმეზე Schiesser v. Switzerland, 1979 წლის 4 დეკემბერი, სერია ა, № 34, გვ. 13, § 31).

ამგვარად, „მოხელე“ დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისაგან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია ობიექტურობის გამოვლენა პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას: თუკი გამოვლინდა, რომ „მოხელე“ მოგვიანებით მონაწილეობას მიიღებს სისხლის სამართალწარმოებაში საგამოძიებო ორგანოების მხრივ, მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შესაძლოა ეჭვის ქვეშ დადგეს (იხ. განაჩენი საქმეზე Huber v. Switzerland, 1990 წლის 23 ოქტომბერი, სერია ა, № 188, გვ. 18, § 43, ასევე განაჩენი საქმეზე Brincat v. Italy 1992 წლის 26 ნოემბერი, სერია ა, № 249-ა, გვ. 12, § 21). „მოხელემ“ პირადად უნდა მოუსმინოს მის წინაშე წარდგენილ პირს და სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე განსაჯოს, გამართლებულია, თუ არა პატიმრობა. თუკი პატიმრობა გამართლებული არ არის, „მოხელეს“ უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, გასცეს სამართლებრივად სავალდებულო ბრძანება პატიმრის გათავისუფლებასთან დაკავშირებით (იხ. ზემოხსენებული განაჩენი Schiesser-ის საქმეზე, გვ. 13–14, § 31, და განაჩენი საქმეზე Ireland v. the United Kingdom, 1978 წლის 18 იანვრის განაჩენი, სერია ა, № 25, გვ. 76, § 199).

147. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი ასენოვის განაცხადი გათავისუფლებასთან დაკავშირებით, 1995 წლის 19 სექტემბერს, ანუ განმცხადებლის პატიმრობიდან 3 თვის თავზე მოსამართლემ არ განიხილა (იხ. წინამდებარე განაჩენის 38-ე პუნქტი). აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად არ აკმაყოფილებს ცნებას „დაუყოვნებლივ“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით (იხ. მაგალითად განაჩენი საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdom, 1988 წლის 29 ნოემბერი, სერია ა, № 145-ბ, გვ. 33, § 62).

148. სასამართლო კელავაც აღნიშნავს, რომ 1995 წლის 28 ივლისს ბ-ნი ასენოვი წარადგინეს გამოძიებლის წინაშე, რომელმაც დაკითხა და ფორმალურად წაუყენა ბრალი. მან მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება მიიღო (იხ. წინამდებარე განაჩენის 33-ე პუნქტი). სასამართლო აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, გამოძიებელს არ გააჩნდა უფლებამოსილება სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილება მიეღო პირის, როგორც ეჭვმიტანილის სახით დაპატიმრება-გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ხსენებულის სანაცვლოდ, გამოძიებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაძლებელი იყო გაუქმებულიყო პროკურორის მიერ, რომელსაც ასევე შეეძლო საქმე გამოეთხოვა გამოძიებლისაგან, თუკი პროკურორი უკმაყოფილო იქნებოდა გამოძიებლის ქმედობით (იხ. წინამდებარე განაჩენის 66-ე, 69-ე პუნქტები). ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ გამოძიებელი არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი, რათა იგი მივიჩნიოთ „სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილ მოხელედ“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით.

149. ბ-ნი ასენოვი არ ყოფილა წარდგენილი პირადად და მისთვის არ მოუსმენია პროკურორ ა.-ს, რომელმაც დაადასტურა გამოძიებლის გადაწყვეტილება (იხ. წინამდებარე განაჩენის 33-ე პუნქტი). ბ-ნი ასენოვისათვის ასევე არ მოუსმენია რომელიმე სხვა პროკურორს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება მისი პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, რადგანაც ყოველ ასეთ პროკურორს შეეძლო ყოფილიყო ბრალმდებელი სისხლის სამართალწარმოებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 66-ე პუნქტი), ისინი არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელი, ან მიუკერძოებელი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

150. ამიტომაც სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, რადგანაც განმცხადებელი არ ყოფილა წარდგენილი „სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილი მოხელის წინაშე“.

ბ) უფლება სასამართლო განხილვაზე გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლება სასამართლო სამართალწარმოების პერიოდში

151. მთავრობის მტკიცებით, წინასწარი გამოძიება რთული იყო, მოითხოვდა დროს, მოიცავდა რამდენიმე სავარაუდო თანამონაწილისა და მოწმის დაკითხვას, ასევე ექსპერტის ცნობის განხილვას. 1997 წლის 31 იანვარს საგამოძიებო ორგანოებისათვის საჭირო გახდა საქმე დაბრუნებულიყო დამატებითი გამოძიებისა და მოწმეთა ხელახალი დაკითხვისათვის, რადგანაც ინტერესთა კონფლიქტი არსებობდა, რაც გამოაშკარავდა ბ-ნ ასენოვსა და მის სავარაუდო თანამონაწილებს შორის. გამოძიების პროცესში განმცხადებელმა და მისმა მშობლებმა მრავალჯერ წარადგინეს განაცხადები ბ-ნი ასენოვის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ყოველი ასეთი განაცხადი აყოვნებდა საქმეზე გამოძიებას, რადგანაც მიმდინარეობდა ხსენებული განაცხადების განხილვა. ამგვარ ვითარებაში ვერ ვიტყვით, რომ ბ-ნ ასენოვს სასამართლოს გონივრულ ვადაში ჩატარების საშუალება არ მიეცა.

152. კომისიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რა იმ ფაქტს, რომ 1995 წლის სექტემბერსა და 1996 წლის შუალედში წინასწარი გამოძიება პრაქტიკულად უმოძრაო იყო, დაადგინა, რომ ბ-ნი ასენოვს, რომელიც ამ დროისათვის წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 23 თვეზე მეტი ხნით, წაერთვა შესაძლებლობა, რათა სასამართლო სამართალწარმოება გამართულიყო გონივრულ ვადაში. განმცხადებელი დაეთანხმა ხსენებულ დასკვნას.

153. სასამართლო ადგენს, რომ პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, დაიწყო 1995 წლის 27 ივლისს, როდესაც ბ-ნი ასენოვი დააკავეს და გრძელდებოდა 1997 წლის დაუდგენელ დღემდე, როდესაც ბ-ნი ასენოვს მიესაჯა სასჯელი 4 ძარცვის გამო (იხ. წინამდებარე განაჩენის 33-ე და 48-ე პუნქტები). ხსენებულიდან გამომდინარე განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გრძელდებოდა დაახლოებით 2 წლის განმავლობაში.

154. სასამართლო იმეორებს, რომ, პირველ რიგში, სწორედ მართლმსაჯულების ეროვნულ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, რათა უზრუნველყონ, რომ ბრალდებულის წინასწარმა პატიმრობამ არ გადააჭარბოს გონივრულ ვადას. ხსენებულიდან გამომდინარე, ეროვნულმა ორგანოებმა უნდა განიხილონ ყველა გარემოება, რომლებიც ამართლებენ, ან მეტყველებენ საზოგადოებრივი ინტერესების არსებობაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ამართლებენ, უდანაშაულობის პრეზუმფციის ჯეროვნად გათვალისწინებით, პირის თავისუფლების უფლებიდან გადახვევას და ამავე დროს ასახავენ თავიანთ გადაწყვეტილებებს გათავისუფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში მოცემულ მიზეზთა გამო და პატიმრის მიერ გათავისუფლებასთან დაკავშირებულ განაცხადებში ხსენებული ფაქტებისა და სასამართლოსადმი წარდგენილი საჩივრების გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილად თვლის თავს, მიიღოს გადაწყვეტილება, ჰქონდა, თუ არა ადგილი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას. გონივრული ეჭვის არსებობა, იმის შესახებ, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, წარმოადგენს *sine qua non* პირობას განგრძობადი პატიმრობის გასამართლებლად, მაგრამ, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, აღნიშნული აღარ არის საკმარისი. შესაბამისად სასამართლომ უნდა დაადგინოს, საკმარისია, თუ არა მართლმსაჯულების ეროვნული ორგანოების მიერ მოყვანილი საფუძვლები განგრძობადი თავისუფლების შეზღუდვისათვის. იმის გარკვევისას, იყო თუ არა ასეთი გარემოებები „შესაფერისი“ და „საკმარისი“, სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, გამოიჩინეს, თუ არა კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა „შესაბამისი გულისხმიერება“ სამართალწარმოების წარმართვისას (იხ. განაჩენი საქმეზე Toth v. Austria, 1991 წლის 12 დეკემბერი, სერია ა, №. 224, გვ. 18, § 67).

155. სასამართლო კვლავაც იხსენებს, რომ 2-ჯერ, როდესაც ბ-ნი ასენოვის პატიმრობის კანონიერება გადაისინჯა მის მიერ, მას უარი განუცხადეს გათავისუფლებაზე, იმ მიზეზით, რომ სერიოზული დანაშაულების ჩადენა ედებოდა ბრალად; განმცხადებლის დანაშაულებრივი ქმედობები განგრძობადი ხასიათის იყო და წარმოშობდნენ მის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხეს (იხ. წინამდებარე განაჩენის 38-ე და 47-ე პუნქტები).

156. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1995 წლის 28 ივლისს, ბ-ნი ასენოვს ბრალად წარედგინა 16 ქურდობისა და ძარცვის ჩადენა. ძარცვა ზოგჯერ შეიცავდა ძალადობას (იხ. წინამდებარე განაჩენის 33-ე პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ პირველად იგი ქურდობებთან დაკავშირებით წარმართული გამოძიების ფარგლებში 1995 წლის იანვარში დაკითხეს (იხ. წინამდებარე განაჩენის 32-ე პუნქტი), გარკვეული დანაშაულები, რომლებიც ბრალად წარედგინა, ჩაიდინა მოგვიანებით, ხოლო ბოლო ძარცვა - 24 ივლისს, დაკავებამდე 3 დღით ადრე. ხსენებულ გარემოებებში სასამართლო თვლის, რომ ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს გააჩნდათ გონივრული შიში, რომ განმცხადებელს შეეძლო ხელახლა ჩაედინა დანაშაული გათავისუფლების შემთხვევაში.

157. თუმცა, სასამართლო კვლავაც იხსენებს, რომ განმცხადებელი არასრულწლოვანი იყო და ამგვარად, ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში აყვანა მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში უნდა მომხდარიყო (იხ. წინამდებარე განაჩენის 69-ე პუნქტი). ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ხელისუფლების

ორგანოებს გამოეჩინათ სათანადო გულისხმიერება იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი წარედგინებოდა სასამართლოს გონივრულ ვადაში. მთავრობის მტკიცებით, სასამართლოს საქმის განსახილავად 2 წელი დასჭირდა, რადგან იგი ძალზე რთული იყო და მოითხოვდა ხანგრძლივ გამოძიებას. თუმცა, ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან ნათელი ხდება, რომ ერთ-ერთი იმ წლის განმავლობაში, 1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის სექტემბრამდე, სინამდვილეში არანაირი ქმედობა არ ყოფილა განხორციელებული გამოძიებასთან დაკავშირებით, არანაირი ახალი მტკიცებულება არ ყოფილა შეგროვებული და ბ-ნი ასენოვი დაიკითხა მხოლოდ ერთხელ, 1996 წლის 21 მარტს (იხ. წინამდებარე განაჩენის 34-ე და 42-ე პუნქტები). უფრო მეტიც, თავისუფლების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე თუ მხედველობაში მივიღებთ, მაგალითად, შესაბამისი დოკუმენტების გადაღების შესაძლებლობას და არა დოკუმენტების ორიგინალების გაზაფხნას შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებისათვის, განმცხადებლის ბევრ საჩივარს, გათავისუფლებასთან დაკავშირებით, არ უნდა მოეხდინა გავლენა გამოძიების შეჩერებაზე და ამგვარად, არ უნდა გაეჭიანურებინა ბ-ნი ასენოვის სასამართლო სამართალწარმოება (იხ. ზემოხსენებული განაჩენი Toth-ის საქმეზე, გვ 21, § 77).

158. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკენის, რომ ბ-ნმა ასენოვმა ვერ ისარგებლა „სასამართლოთი გონივრულ ვადაში“, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

4. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

159. გარდა ამისა, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები, რომელთა თანახმადაც, „დაკავებით, ან დაპატიმრებით თავისუფლებაა დეკლარირებული ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერების საკითხი და თუ იგი არ არის კანონიერი გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე“.

160. მთავრობამ აღნიშნა, რომ ბ-ნმა ასენოვმა ისარგებლა კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობით, რადგანაც მან მიმართა სასამართლოს მისი პატიმრობის კანონიერების გადასინჯვის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ მოსმენა არ გამართულა საჯაროდ, შოუშენის რაიონულმა სასამართლომ განიხილა მხარეთა წერილობითი არგუმენტაცია, რომელიც საქმეში მოიპოვება. მთავრობამ ასევე ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს, რომ კანონმდებლობაში 1997 წლის 8 აგვისტოს შევიდა ცვლილებები და ახლა უკვე ასეთ საქმეებზე მხარეთა დასწრებით უზრუნველყოფილია საჯარო მოსმენა.

161. კომისიამ, რომელსაც განმცხადებელიც დაეთანხმა, დაადგინა: ვინაიდან, განმცხადებელი მაშინ არასრულწლოვანი იყო და მისი განგრძობადი პატიმრობის მიზეზებს წარმოადგენდა დანაშაულის ხელახლა ჩადენა, საჭირო იყო სასამართლო მოსმენის გამართვა. ამის ნაცვლად, შოუშენის რაიონულმა სასამართლომ, რომელსაც არ გააჩნდა უფლებამოსილება განეხილა საკმარისი იყო, თუ არა მტკიცებულებები ბ-ნი ასენოვის ბრალდების გასამყარებლად (იხ. წინამდებარე განაჩენის 74-ე პუნქტი), განიხილა განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობის საკითხი დახურულ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე (იხ. წინამდებარე განაჩენის 38-ე და 73-ე პუნქტები). აღნიშნული მიმართვის შემდგომ ბ-ნი ასენოვს აღარ გააჩნდა შანსი მოეთხოვა სასამართლოს მიერ მისი პატიმრობის კანონიერების შემდგომი გადასინჯვა, სანამ საქმე წარმართებოდა სასამართლოში (იხ. წინამდებარე განაჩენის 41-ე, 47-ე და 75-ე პუნქტები). შედეგად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევით, პირველი შეხება მართლმსაჯულების მიუკერძოებელ ორგანოსთან, რომელიც კომპეტენტური იქნებოდა განეხილა მისი პატიმრობის კანონიერება, განხორციელდა 1997 წლის 6 თებერვალს, დაახლოებით, დაკავებიდან 19 თვის შემდეგ.

162. სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაკავებული, ან დაპატიმრებული პირი უფლებამოსილია სამართალწარმოება აღძრას სასამართლოს წინაშე იმ პროცედურული და არსებითი საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთის „კანონიერებისათვის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის 139-ე პუნქტი; ზემოხსენებული განაჩენი *Brogan and Others v. the United Kingdom*, გვ. 34, § 65). მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საჭირო არ არის, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოიაზრებდეს იმავე გარანტიებს, რაც იგულისხმება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოებისას (იხ. განაჩენი საქმეზე *the Megyeri v. Germany* 1992 წლის 12 მაისი, სერია ა, № 237-ა, გვ. 11, § 22), მას უნდა გააჩნდეს მართლმსაჯულების ხასიათი და უზრუნველყოფდეს იმ გარანტიებს, რომლებიც შესაფერისია შესაბამისი თავისუფლების აღკვეთისათვის. ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ხდება მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის მოქმედების სფეროში, აუცილებელია მოსმენის გამართვა (იხ. ზემოხსენებული განაჩენი *Schiesser-ის საქმეზე* გვ. 13. §§ 30–31, საქმეზე *Sanchez-Reisse v. Switzerland* 1986 წლის 21 ოქტომბერი, სერია ა, № 107. გვ. 19, § 51 და განაჩენი საქმეზე *Kampanis v. Greece* 1995 წლის 13 ივლისი, სერია ა, № 318-ბ, გვ. 45, § 47). გარდა ამისა, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ პატიმრობაში მყოფ პირს შესაძლებლობა ჰქონდეს სამართალწარმოება აღძრას გონიერულ შუალედებში და გაასაჩივროს მისი პატიმრობის კანონიერება (იხ. განაჩენი საქმეზე *Bezicheri v. Italy* 1989 წლის 25 ოქტომბერი, სერია ა, № 164, გვ. 10–11, §§ 20–21). კონვენციის პრინციპის თანახმად ასეთი პატიმრობა უნდა გრძელდებოდეს მკაცრად შეზღუდული ხანგრძლივობით (იხ. წინამდებარე განაჩენის 154-ე პუნქტი) და მოითხოვება ხანმოკლე ინტერვალებით პერიოდული გადასინჯვა (იხ. ზემოხსენებული განაჩენი *Bezicheri-ს საქმეზე*).

163. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ შოუმენის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ბ-ნი ასენოვის შუამდგომლობა გათავისუფლებასთან დაკავშირებით დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომლის დროსაც მისთვის პირადად არ მოუსმენიათ (იხ. წინამდებარე განაჩენის 38-ე და 73-ე პუნქტები). მიუხედავად იმისა რომ ასეთ საქმეებთან მიმართებით ზეპირი მოსმენის უზრუნველყოფით შესაბამისი კანონმდებლობა შემდგომში შეიცვალა (იხ. წინამდებარე განაჩენის 160-ე პუნქტი), სასამართლო მაინც შემოიფარგლა განმცხადებლის ფაქტების შეფასებით (იხ. განაჩენი საქმეზე *Findlay v. the United Kingdom*, 1997 წლის 25 თებერვალი, მოხსენებები 1997-I, გვ. 279, § 67).

164. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში აყვანილი პირი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი პატიმრობის გადასინჯვა სასამართლოს მიერ მხოლოდ ერთჯერადად (იხ. წინამდებარე განაჩენის 75-ე პუნქტი). ამგვარად, განმცხადებლის მხრიდან მეორე ასეთი მოთხოვნა უარყოფილ იქნა შოუმენის სასამართლოს მიერ 1995 წლის 19 სექტემბერს ხსენებულ საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 41-ე პუნქტი).

165. დასკვნის სახით, თუ მხედველობაში მივიღებთ 2 წლით წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში განმცხადებლის განსაკუთრებულ უუნარობას, რათა განხილულიყო მისი საქმე სასამართლოს მიერ ერთჯერადად, ან მრავალჯერადად, აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლოს არ განუხორციელებია ზეპირი მოსმენა, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

5. კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა

166. სამივე განმცხადებელი ჩიოდა, რომ სახელმწიფომ ხელი შეუშალა მათთვის გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლებას, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც:

„კომისიას შეუძლია მიიღოს სარჩელი, რომელიც ეგზავნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც აცხადებენ, რომ დაზარალებულნი ერთ-ერთი ხელშემკერედი სახელმწიფოს მხრიდან, მათ იმ უფლებათა დარღვევის საფუძველზე, რომლებიც დადგენილია კონვენციით, მაგრამ ამასთან, მაღალ ხელშემკერედ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც საჩივარი იქნა შეტანილი, აღიარებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი სცნობს კომისიის კომპეტენციას, მიიღოს ასეთი სარჩელები. ის მაღალი ხელშემკერედი სახელმწიფოები, რომლებმაც გააკეთეს ასეთი განაცხადი, ვალდებული იქნებიან, ხელი არ შეუშალონ რაიმე გზით, ამ უფლების ეფექტურად განხორციელებას“.

167. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ წერილობით განაცხადში მთავრობამ უარყო ხსენებული და განაცხადა, რომ არ არსებობდა არანაირი სახის მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა განმცხადებლების საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ძალა დაატანეს, ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოეწერათ რაიმე სახის განცხადებისათვის.

168. კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია დაედგინა. დაიკითხა თუ არა განმცხადებელი სტრასბურგში გაგზავნილ განაცხადთან დაკავშირებით 1995 წლის ივლისში განხორციელებული დაკავების შემდეგ. თუმცა კომისიამ აღნიშნა, რომ როდესაც ბ-ნი ასენოვი იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მის მშობლებს ნამდვილად დაუკავშირდნენ პოლიციისა და გამოძიების ორგანოები. კომისიამ ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით გაკეთებული განცხადების ჯეროვანი ახსნა, მდგომარეობდა იმაში, რომ სტრასბურგში წარდგენილი განცხადების გამო მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა.

169. სასამართლო კვლავ იხსენებს, რომ კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, სახელმწიფოებზე დაკისრებული ვალდებულება, რომლის თანახმადაც, ხელისუფლების ორგანოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ფიზიკურ პირს, ეფექტურად წარადგინოს და მისდიოს კომისიის წინაშე წარდგენილ განაცხადს, განმცხადებელს ანიჭებს საპროცესო ხასიათის უფლებას, რომლის დაცვაც შესაძლებელია კონვენციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური განაცხადის შეტანის ინსტიტუტებს ეფექტურობისათვის, რომ განმცხადებლებს ან პოტენციურ განმცხადებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად დაუკავშირდნენ კონვენციის ორგანოებს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ზეწოლის რაიმე ფორმის გარეშე, რომელიც გულისხმობს განაცხადის უკან გამოტანას ან მის შეცვლას (იხ. განაჩენი საქმეზე Akdivar and Others v. Turkey, 1996 წლის 16 სექტემბერი, მოხსენებები 1996-IV, გვ. 1218 და 1219, § 103, 105, და განაჩენი საქმეზე Kurt v. Turkey 1998 წლის 25 მაისი, მოხსენებები 1998-III, გვ. 1205-06, § 159).

170. ტერმინი „ზეწოლის რაიმე ფორმა“ მოიცავს არა მხოლოდ პირდაპირ იძულებას და განმცხადებლების აშკარა დაშინების ქმედობებს, არამედ სხვა შეუსაბამო და არასათანადო ქმედობებს ან კონტაქტებს, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს პირების გადარწმუნება ან მათთვის სურვილის ჩახშობა სამართალწარმოება აწარმოონ კონვენციით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებით (იხ. ზემოხსენებული განაჩენი Kurt-ის საქმეზე, გვ. 1206, § 160). საკითხი, ატარებს, თუ არა ხელისუფლების ორგანოებსა და განმცხადებელს შორის არსებული კავშირები კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტით მიუღებელ ფორმას, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების ჭრილში. წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს,

რომ კომისიის წინაშე წარდგენილი განმცხადებელთა საჩივარი, ეხებოდა პოლიციისა და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან განხორციელებულ არასათანადო ქმედებების მტკიცებას. შესაბამის დროს ბ-ნი ასენოვის წინასწარ პატიმრობაში აყვანის ფაქტიდან გამომდინარე, რომელმაც სასამართლო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აღგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დარღვევას, განმცხადებლის მშობლებს კანონიერად შეეძლოთ ჩაეთვალიათ, რომ ბ-ნი ასენოვის მიმართ ხორციელდებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედობები საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. ხელისუფლების ორგანოებს ასევე უნდა სცოდნოდათ, რომ განმცხადებლები იყვნენ უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლები და ექვემდებარებოდნენ კომენტარებს პრესის მხრიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის 50-ე პუნქტი), რაც კიდევ უფრო მგრძნობიარეს ხდიდა მათზე განხორციელებულ ზეწოლას.

171. ყველა შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ-ნი ივანოვისა და ქ-ნი ივანოვას დაკითხვა იმავე ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლისა, თუ წარმომადგენლების მიერ, რასაც შემდგომში შედეგად მოჰყვა განმცხადებელთა მხრიდან ფიცის ქვეშ გაცხადებული განცხადება, რომ მათ წარადგინეს რაიმე სახის განაცხადი კომისიის წინაშე (იხ. წინამდებარე განაჩენის 51-ე პუნქტი), წარმოადგენდა სათანადო ზეწოლას და ხელის შეშლას ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის განხორციელებაში. ხსენებულიდან გამომდინარე აღგილი ჰქონდა კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

IV. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენება

172. განმცხადებლებმა მოითხოვეს სამართლიანი დაკმაყოფილება კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, „თუ სასამართლო დაადგენს, რომ მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონიერი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ან განხორციელებული ღონისძიება მთლიანად ან ნაწილობრივ არღვევს ... კონვენციის ვალდებულებებს, და თუ ხსენებული მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ამ გადაწყვეტილების ან ღონისძიების შედეგების მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო გადაწყვეტილებამ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიანიჭოს დაზარალებულ მხარეს სამართლიანი დაკმაყოფილება“.

ა. არამატერიალური ზიანი

173. ბ-ნმა ასენოვმა მოითხოვა კომპენსაცია იმ ზიანისათვის, რომელიც მან მიიღო კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის შედეგად. ივანოვებმა მოითხოვეს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება იმ ზეწოლის გამო, რომელსაც ისინი დაექვემდებარნენ კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

174. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლებს 50-ე მუხლის შესაბამისად არანაირი სახის კომპენსაცია არ უნდა მიკუთვნებოდათ.

175. სასამართლოს მიაჩნია, რომ გამომდინარე იმ სერიოზული დარღვევებიდან, რომლებიც დადგინდა წინამდებარე საქმეში, არამატერიალური ზიანისათვის ბ-ნ ასენოვს უნდა მიკუთვნებოდა კომპენსაცია. მაგრამ ამავე დროს კომისიას მიაჩნია, რომ 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენა წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი სახის არამატერიალური ზიანისათვის, რომელიც განიცადეს ივანოვებმა. განახორციელა რა შეფასება ჯეროვან საწყისებზე, სასამართლო აკუთვნებს ბ-ნ ასენოვს 6 000 000,00 ბულგარულ ლევს.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

176. ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების სახით, განმცხადებლები მოითხოვდნენ დაახლოებით 14 860,00 ფუნტ სტერლინგს (GBP) ბულგარელი წარმომადგენლებისათვის და 7 600,00 ფუნტ სტერლინგს (GBP) ადვოკატისათვის გაერთიანებული სამეფოდან.

177. მოსმენაზე მთავრობის თანაწარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხსენებული პროტენზიები გადაჭარბებული იყო.

178. სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც წამოიჭრა წინამდებარე საქმეში და გაითვალისწინა მათი სირთულე, სრულად დააკმაყოფილა მოთხოვნა იმ თანხის გამოკლებით, რომელიც გადაიხადა ევროპის საბჭომ სამართლებრივი დახმარების სახით. ბ-ნი ასენოვისათვის მიკუთვნებული თანხა გადაყვანილ უნდა იქნეს ბულგარულ ლევებში გადახდის დღეს არსებული კურსით.

გ. პირგასამტეხლო

179. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, კანონმდებლობით დადგენილი პირგასამტეხლო, რომელიც მოქმედებს ბულგარეთში წინამდებარე განაჩენის გამოტანის დღისათვის, არის 5.08% ყოველწლიურად, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში კი - 7.5% ყოველწლიურად.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო

1. უარყოფს მთავრობის პირველად პროტენზიებს;

2. 8 ხმით 1-ის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას ბ-ნი ასენოვის განცხადების საფუძველზე, რომ მას არასათანადოდ მოეპყრნენ პოლიციაში;

3. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმის საფუძველზე, რომ არ განხორციელებულა ეფექტური ოფიციალური გამოძიება ბ-ნი ასენოვის მიმართ პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით;

4. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;

5. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას;

6. 8 ხმით 1-ის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ პირობებთან მიმართებით, რომელშიც ბ-ნი ასენოვი იმყოფებოდა 1995 წლიდან მოყოლებული;

7. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;

8. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, რადგანაც ბ-ნი ასენოვი არ წარუდგენიათ დაუყოვნებლივ მოსამართლის, ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელის წინაშე;

9. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, რადგანაც ბ-ნი ასენოვის საქმე არ განხილულა გონივრულ ვადაში და იგი არ გათავისუფლებულა სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში;

10. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;

11. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ყველა განმცხადებლის მიმართ;

12. ერთხმად ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ 3 თვის ვადაში უნდა გადაუხადოს:

ა) პირველ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისათვის 6 000 000,00 (ექვსი მილიონი) ბულგარული ლევი;

ბ) სამივე განმცხადებელს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის 14 860,00 (თოთხმეტი ათას რვაას სამოცი) ფუნტი სტერლინგი, რომელიც გადაყვანილ უნდა იქნეს ბულგარულ ლევებში გადახდის დღეს არსებული კურსით, 7 600,00 ფუნტ სტერლინგთან ერთად, რომელსაც უნდა გამოაკლდეს 38 087,00 ფრანგული ფრანკი გადაყვანილი ფუნტ სტერლინგებში გადახდის დღისათვის არსებული კურსით, ყველა იმ დარიცხულ გადასახადთან ერთად, რომელიც შესაძლოა დარიცხულ იქნეს;

გ) პირგასამტეხლო წლიური 5,08% ოდენობით უნდა იქნეს გადახდილი ბულგარულ ლევებში და 7,5% ფუნტ სტერლინგებში მიკუთვნებულ ზემოხსენებულ თანხებთან მიმართებით აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ გადახდამდე.

13. ერთხმად უარყოფს ყველა დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და საჯაროდ გაცხადებულია ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში 1998 წლის 28 ოქტომბერს.

ხელმოწერილია: რუდოლფ ბერნჰარდტი,
თავმჯდომარე;

ხელმოწერილია: ჰერბერტ პეტცოლდი,
რეგისტრატორი.

კონვენციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განაწესებს თან ერთვის მოსამართლე მიფსუდ ბონიჩის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

**მოსამართლე მიფსუდ ბონიჩის
ნაწილობრივ განსხვავებული აზრი**

1. მე ვეთანხმები სასამართლოს ყველა საკითხში, გარდა ორისა, რომლებიც ეხება კონვენციის მე-3 მუხლს.

2. ანტონ ასენოვი იყო 14 წლის ბიჭი, როდესაც 1992 წლის სექტემბერში პოლიციასთან ინციდენტის დროს, მიიღო სხვადასხვა ხასიათის დაზიანებები, რომლებიც სასამართლომ ჩათვალა „საკმაოდ სერიოზულად, რათა მიჩნეულიყო არაადამიანურ მოპყრობად მე-3 მუხლის თანახმად“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 95-ე პუნქტი). თუმცა სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლებლად მიიჩნია იმის დადგენა მიყენებული იყო, თუ არა დაზიანებები პოლიციის მიერ, როგორც ამტკიცებდა განმცხადებელი (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-100 პუნქტი).

ჩემი აზრით, რადგან პრეტენზია იქნა წამოყენებული იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებული დაზიანებები გამოიწვია პოლიციის მიერ ხელკეტების გამოყენებამ ბ-ნი ასენოვის დაკავებისას, მთავრობას უნდა „წარმოედგინა სრული და საკმარისი ახსნა-განმარტება, თუ როგორ იქნა გამოწვეული დაზიანებები“, როგორც ეს მყარად არის დადგენილი სასამართლოს იურისპრუდენციით, და მოხსენიებულია წინამდებარე განაჩენის 92-ე პუნქტში.

ბულგარეთის ხელისუფლების ორგანოებს არ წარუდგენიათ სასამართლოსათვის სრულყოფილი და საკმარისი ახსნა-განმარტება, თუ როგორ მიიღო 14 წლის ბიჭმა ასეთი მძიმე ხასიათის დაზიანებები. რა თქმა უნდა, ბიჭის მამამ დაადასტურა, რომ „მან აიღო და ჩაარტყა შვილს ხის ნაჭერი“ (წინამდებარე განაჩენის მე-9 პუნქტი), რათა გამოეხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება შვილის საქციელის მიმართ. მაგრამ ხის ნაჭერი არ წარმოშობს ისეთი სახის სერიოზულ დაზიანებებს, როგორებიც აღმოაჩინა ექიმმა განსახილველი ინციდენტიდან 2 დღის შემდგომ. პოლიციის ხელკეტებით კი ასეთი დაზიანების მიღება ადვილად შესაძლებელია.